

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 მაისის №01-07/08 მორიგი სხდომის დღის-
წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. „ ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. „ „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

4. „ „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

5. „ „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

6. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

7. „ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

8. „ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

9. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

10. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიში

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე

თანამომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

11. „ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

12. „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობება-ნაგებობებში თამბაქოს მოწვევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე

13. „ფიზიკური პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების (გატყვევებული ტერიტორიები) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თემური ავალიანი

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორგილაძე

14. „30 აპრილს ციხისძირში გამართულ მშვიდობიან აქციაზე ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge) .

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული);

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2018 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებით (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი:010260020.35.134.016247, 22/01/2018) დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები - თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და მათი იერარქიული რანგების ცხრილის „მე-3“, 51-ე და „52-ე“ გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3	მერის მოადგილე		1	1800“
„51	IV რანგი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი - მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში	10	900
52		მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში	22	650“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის -- მაისი

დაბა ქედა

„ ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-4 მუხლის და მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. დამტკიცდეს:

- ა) ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები, დანართი №1-ის შესაბამისად;
- ბ) ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, დანართი №2-ის შესაბამისად;
- გ) ქედის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა, დანართი №3-ის შესაბამისად;
- დ) პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №4-ის შესაბამისად;
- ე) პირობებით გამოცხადებული აუქციონის ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმა, დანართი №5-ის შესაბამისად;
- ვ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, დანართი №6-ის შესაბამისად.

2. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის და მოთხოვნებისა და უფლებების განკარგვისას, მისი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოიყენება თანდართული ფორმები. თანდართული ფორმების ტექსტი შესაძლებელია შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობისა და განსაკარგი ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,

სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპიური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 040110030.35.134.016182. 16/12/2015).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ქედის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესები (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებით პირობებს და წესებს.

2. წესი არ არეგულირებს გარე ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აუქციონი (პირობებიანი ან პირობების გარეშე ელექტრონული აუქციონი, პირობებიანი ან პირობების გარეშე საჯარო აუქციონი, ვადაგაგრძელებული აუქციონი, განმეორებითი აუქციონი) – აუქციონზე გატანილი ქონების (უძრავი და მოძრავი ნივთები, აქციები, წილი და სხვა) საჯარო რეალიზაცია, სადაც აუქციონატორი წარმოადგენს ოფერენტს, ხოლო აქცეპტანტი ხდება აუქციონის გამარჯვებული მონაწილე;

ბ) აუქციონის გამოცხადება – წარმოადგენს აუქციონატორის მიერ პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართულ მოწვევას ოფერტზე (აუქციონზე);

გ) ბიჯი – თანხის მინიმალური ოდენობა, რომელიც აუქციონის მონაწილის მიერ სააუქციონო კონკურენციისას ემატება ლოტის საწყის ფასს ან/და წინა ბიჯის ოდენობას;

დ) აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი – ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება, რომელიც დგება სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ და რომელშიც აისახება აუქციონის შედეგები, ლოტის განკარგვის ძირითადი პირობები, სრული საპრივატიზებო საფასურის/ქირის გადახდის ვადები და მხარეთა უფლება-მოვალეობები;

ე) ნასყიდობის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც წერილობითი ფორმით

ფორმდება აუქციონატორსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს შორის აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში და შეიცავს ლოტის პრივატიზაციის პირობებს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვადებს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და ქონების შეძენის სხვა პირობებს;

ვ) საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა – აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულებისა და სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის საფუძველზე აუქციონატორის მიერ გაცემული დოკუმენტი, რაც ქონების შემძენისათვის პრივატიზებული ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველია.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც განსაზღვრულია „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით.

თავი II

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების დამატებითი პირობები და წესები

მუხლი 3. ქონების სააუქციონოდ მომზადება და პირობების განსაზღვრა

1. მუნიციპალიტეტის უძრავ და მოძრავ ქონებას, მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების აქციებს/წილებს სააუქციონოდ ამზადებს აუქციონატორი.

2. ქონების სააუქციონოდ მომზადების საფუძველი შეიძლება იყოს დაინტერესებული პირის განცხადება/მომართვა ან/და აუქციონატორის გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის თაობაზე.

3. ქონების სააუქციონოდ მომზადება გულისხმობს ქონების შერჩევას, აზომვას, რეგისტრაციას და სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

4. ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შეფასების აუდიტორული მომსახურების შესყიდვის პირობებს, მომსახურების პაკეტს ადგენს და დაკვეთას უზრუნველყოფს აუქციონატორი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. აუქციონის სააუქციონო პირობებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

6. ბიჯის ოდენობა განისაზღვრება აუქციონატორის მიერ.

მუხლი 4. გარიგებათა გაფორმების წესი და ქონების შემძენზე საკუთრების უფლების გადასვლა/რეგისტრაცია

1. მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის იდება წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონში გამარჯვებული მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირდება შეძენილი ქონების მომავალ მესაკუთრედ.

2. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში. ის უფლებამოსილია ამ ქონებასთან დაკავშირებით აიღოს ნებართვები (მათ შორის მშენებლობის), ლიცენზიები და განახორციელოს სხვა ქმედებები საპრივატიზებო პირობების/შეზღუდვების გათვალისწინებით. ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

3. პირობების გარეშე გამოცხადებული ელექტრონული აუქციონით ქონების პრივატიზებისას

აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის დათქმულ დროში სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების საკუთრების უფლებით მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

4. პირობებით გამოცხადებული ელექტრონული აუქციონით ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების საკუთრების უფლებით მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაიცემა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულებების/სააუქციონო პირობების შესრულების პირობით.

5. სააუქციონო პირობები/შეზღუდვები ოქმის/ხელშეკრულების/საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე რეგისტრირდება მარეგისტრირებელ ორგანოში.

6. შეძენილი ქონების საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს და რეგისტრაციის ხარჯებს იხდის ქონების შემძენი.

მუხლი 5. აუქციონში გამარჯვებულის პასუხისმგებლობა

1. იმ შემთხვევაში, თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.

2. შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს ქონების შემძენის უფლებამონაცვლეს.

3. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით.

4. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონისა, აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით ელექტრონული აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარღვნილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო, იმავე პუნქტით განსაზღვრული ოდენობით, გამოიყენება ასევე ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის განწილვადების გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში.

6. პირობებიანი აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში ოქმი/ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულების დაწყების ან/და დამთავრების ვადების დარღვევისათვის განსაზღვრულ პირგასამტეხლოს.

7. აუქციონში გამარჯვებულის სხვა პასუხისმგებლობები განისაზღვრება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებით.

მუხლი 6. პირობებით გამოცხადებული აუქციონის სააუქციონო პირობები

1. პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში ნასყიდობის ფასის გადახდასთან ერთად აუქციონის პირობაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას:

ა) ლოტის ფაქტობრივი მდგომარეობა;

ბ) გარკვეულ კლასს (სახეობას) მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება (მაგ. თანამედროვე ტიპის საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობა, სასტუმრო და საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა და სხვა);

გ) უძრავი ქონების შემთხვევაში ლოტზე ან/და სხვა უძრავ ქონებაზე ინვესტიციის განხორციელება;

დ) მესამე პირის მიმართ გარკვეული ვალდებულების შესრულება;

ე) მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გარკვეული ვალდებულების შესრულება;

ვ) ობიექტის მშენებლობისას ან/და მისი ფუნქციონირებისას მთლიანად ან ნაწილობრივ საქართველოს მოქალაქეების დასაქმების ვალდებულება;

ზ) მშენებლობის შეზღუდვები ან/და ვალდებულებები (მათ შორის მშენებლობის უფლების შეზღუდვა);

თ) სტიქიური მოვლენების ან სხვა უბედურების შედეგად (ნგრევა, აფეთქება და ა.შ.) დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების (ოჯახების) საცხოვრისით უზრუნველყოფის ვალდებულება;

ი) სხვა პირობები, რაც მიზანშეწონილია სააუქციონო ლოტის საპრივატიზაციოდ.

2. ერთ ლოტზე შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს რამდენიმე პირობა.

3. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით და მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მესამე პირის მიმართ გარკვეული ვალდებულების შესრულება სააუქციონო პირობად შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპრივატიზებო ქონების უფლებრივი ან/და ნივთობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ასევე სხვა კანონისმიერი ან სახელმწიფო საფუძვლით ამ პირის მიმართ გარკვეული ვალდებულება შესასრულებელი აქვს მუნიციპალიტეტს, რომლის შესრულებაც უნდა მოხდეს ამ ვალდებულების სააუქციონო პირობად დაწესებით და ქონების შემძენის მიერ მისი შესრულების გზით.

4. ქონების შემძენის მიერ სააუქციონო პირობების შესაბამისად მესამე პირის მიმართ გარკვეული ვალდებულების შესრულების შემდეგ მუნიციპალიტეტს მესამე პირის მიმართ არსებული ვალდებულებები ეთვლება სრულად და ჯეროვნად შესრულებულად.

5. თუ ქონების შემძენის მიერ სააუქციონო პირობების შესაბამისად მესამე პირის მიმართ გარკვეული ვალდებულების შესრულება საჭიროებს მესამე პირის თანხმობას, რომელიც უარს აცხადებს ასეთი ვალდებულების ქონების შემძენის მიერ შესრულებაზე, ქონების შემძენი არ თავისუფლდება აღნიშნულის თაობაზე ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან და მის შესრულებას ახდენს აუქციონატორის მიმართ.

6. სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან/და სხვა თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ გარკვეული ვალდებულების შესრულება სააუქციონო პირობად შეიძლება დაწესდეს იმ შემთხვევაშიც, როცა მუნიციპალიტეტს მათ მიმართ არ აკისრია ამ ვალდებულების შესრულება. მუნიციპალიტეტის, სახელმწიფოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან/და სხვა

თვითმმართველი ერთეულის სასარგებლოდ გარკვეული ვალდებულების შესრულება სააუქციონო პირობად შეიძლება დაწესდეს იმ შემთხვევაშიც, როცა სააუქციონო პირობად დაწესებული ვალდებულება არ გამომდინარეობს საპრივატიზებო ქონების უფლებრივი ან/და ნივთობრივი მდგომარეობიდან.

7. სააუქციონო პირობა საინვესტიციო ვალდებულებად ითვლება, თუ სააუქციონო პირობა ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში პირდაპირ ადგენს თანხას, რომელიც დახარჯული უნდა იქნეს ქონების შემძენის მიერ საპრივატიზებო ქონების მიმართ ან მისგან გამომდინარე. სხვა შემთხვევაში სააუქციონო პირობა არ განიხილება საინვესტიციო ვალდებულებად.

8. პირობებიანი აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში აუქციონის გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტი ან/და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი/ხელშეკრულება სავალდებულოა ითვალისწინებდეს ნასყიდობის ფასის გადახდის გარდა სხვა სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულების დაწყების ან/და დამთავრების ვადებს.

9. თუ პირობებით გამოცხადებულ აუქციონზე გატანილი ქონებისათვის სააუქციონო პირობად დაწესებულია შეზღუდვები ან/და ვალდებულებები, ისინი ქონების შემძენის მიერ ექვემდებარება შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში სავალდებულო რეგისტრაციას.

მუხლი 7. ვალდებულებათა შესრულება და მისი დადასტურების წესი

1. ვალდებულების შესრულების ან/და ნაწილობრივ შესრულების მიღება/დადასტურება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

2. ამ წესის მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულება (თანხის სრული/საბოლოო ოდენობის ან/და სხვა თანხების გადახდა) შესრულებულად ითვლება შესაბამის ანგარიშზე თანხის გადასარიცხად საგადახდო დავალების შედგენის ან/და სხვა სათანადო დოკუმენტურად დადასტურებული ქმედების განხორციელების დღიდან.

3. აუქციონში გამარჯვებულის მიერ თანხის გადახდა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საფუძველზე, აუქციონატორი ადასტურებს ვალდებულების შესრულებას საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემით.

5. საინვესტიციო ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების შემძენი ინფორმაციას, როგორც წესი, ადასტურებს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით ან აუდიტორული დასკვნით ან/და სხვა სათანადო დოკუმენტით.

6. ისეთი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას, რომელიც გულისხმობს შენობა-ნაგებობების მშენებლობას, ქონების შემძენი ადასტურებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების თაობაზე ადმინისტრაციული აქტით ან/და შენობა-ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე საჯარო რეესტრის ამონაწერით.

7. მესამე პირის ან/და მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ ნაკისრი ისეთი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას, რომელიც გულისხმობს მესამე პირისათვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემას, ქონების შემძენი ადასტურებს მიღება-ჩაბარების აქტით ან/და საჯარო რეესტრის ამონაწერით.

8. მესამე პირის სასარგებლოდ ნაკისრი ისეთი ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას, რომელიც გულისხმობს მესამე პირისათვის ფინანსური ვალდებულების შესრულებას, ქონების შემძენი ადასტურებს საგადახდო დავალებით ან/და მესამე პირსა და ქონების შემძენს შორის შედგენილი მიღება- ჩაბარების აქტით.

9. ყველა სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით,

ქონების შემძენი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე აცნობებს აუქციონატორს, რომელიც სწავლობს ქონების შემძენის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების ფაქტს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

10. ოქმით (ხელშეკრულებით) ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება აუქციონატორის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

მუხლი 8. პრივატიზების საკითხთან დაკავშირებული სხვა დებულებები

1. აუქციონატორი უფლებამოსილია შეწყვიტოს გამოცხადებული აუქციონი და ამოიღოს აუქციონიდან ლოტი, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისათვის დადგენილი წესით. ასეთ შემთხვევაში აუქციონის მონაწილეს უბრუნდება გადახდილი ბე/საბანკო გარანტია.

2. აუქციონში მონაწილეობის მსურველის/გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის სისწორესა და უტყუარობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება აუქციონში მონაწილეობის მსურველს/გამარჯვებულს.

3. პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია საპრივატიზებო ქონების ნასყიდობის საბოლოო თანხა სრულად გადაიხადოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმით/ხელშეკრულებით დაწესებულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს.

თავი III

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი პირობები და წესები

მუხლი 9. ქონების სარგებლობაში გადაცემის დამატებითი პირობები

1. ქონების პირდაპირი წესით სარგებლობაში გადაცემა ხდება მოქმედი კანონმდებლობის დადგენილი წესით.

2. ქონების სასყიდლიანი აღნაგობის, უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით აუქციონის წესით გადაცემისა და ფორმის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

3. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას და პირობებს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება, ამ თავით გათვალისწინებული თავისებურებების გათვალისწინებით, ხდება მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისათვის დადგენილი წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სარგებლობის უფლებით გადაცემის აუქციონის ბეს/საბანკო გარანტიის და ბიჯის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

6. ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადაში ფორმდება სარგებლობის ხელშეკრულება.

7. თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

8. სარგებლობის ქირის გადახდა ხორციელდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული პერიოდული პერიოდული.

9. სასყიდლიანი სარგებლობის ფორმით გაცემული ქონების ქირა ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თანხები (პირგასამტეხლო, საბანკო გარანტია და ა.შ.) ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

10. აუქციონში გამარჯვებულის ინიციატივით, ასევე აუქციონში გამარჯვებულის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულს ბე-ს სახით გადახდილი თანხა უკან არ უბრუნდება.

მუხლი 10. ქონების აღნაგობის უფლებით გადაცემა

1. მიწის ნაკვეთის ან/და იმ მიწის ნაკვეთის, რომელზედაც დამაგრებულია შენობა-ნაგებობა აღნაგობის უფლებით გადაცემა ითვალისწინებს შესაბამისი განაცხადის საფუძველზე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ქონების სარგებლობაში გადაცემას ისე, რომ მას ჰქონდეს მიწის ზედა ან/და მიწის ქვეშაშენობა-ნაგებობის აღმართვის უფლება.

2. ქონების სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გადაცემა შეიძლება განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 99 (ოთხმოცდაცხრამეტ) წელს.

3. თუ აღნაგობის უფლების მქონე პირი აღნაგობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს ქონებას, მაშინ მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დათქმული საზღაურის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება, ასევე მოითხოვოს აღნიშნული ქონებისათვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 11. ქონების ქირავნობა

1. ქონების ქირავნობის ფორმით გადაცემა ითვალისწინებს მისი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადაცემას განსაზღვრული ვადით სასყიდლიან სარგებლობაში.

2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს შეუძლია ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დამქირავებელი, მისი გაფრთხილების მიუხედავად, გაქირავებულ ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას უქმნის;

ბ) თუ დამქირავებელი არ იხდის ქირას, გადახდის ვადის დადგომიდან 3 თვის განმავლობაში;

გ) მხარეთა შეთანხმებით;

დ) საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3. თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დათქმული ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 12. ქონების იჯარა

1. ქონების იჯარის ფორმით გადაცემა ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ქონების გადაცემას განსაზღვრული ვადით სასყიდლიან სარგებლობაში, ისე რომ მოიჯარემ შეძლოს შემოსავლის სახით გარკვეული ნაყოფის მიღება.

2. თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე უკან აბრუნებს ქონებას, იგი თავისუფლდება საიჯარო ქირის შემდგომი გადახდისაგან იმ შემთხვევაში, თუ მის სანაცვლოდ მეიჯარეს შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და მისთვის მისაღებ მოიჯარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდის დასრულებამდე.

3. თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნების გამო, ასევე მოითხოვოს აღნიშნული ქონებისათვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის ანაზღაურება.

4. მეიჯარეს შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე მოშალოს, თუ:

- ა) მოიჯარე მეიჯარისაგან გაფრთხილების მიუხედავად ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან უქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;
- ბ) თუ მოიჯარე არ იხდის ქირას, გადახდის ვადის დადგომიდან 3 თვის განმავლობაში;
- გ) მხარეთა შეთანხმებით;
- დ) საქართველოს კანონით „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 13. ქონების თხოვება

1. ქონების თხოვების ფორმით გადაცემა ითვალისწინებს აუქციონის გარეშე მის დროებით უსასყიდლო სარგებლობისათვის გადაცემას.

2. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო იტოვებს უფლებას, რომ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ნებისმიერ დროს თხოვების ფორმით გადაცემული ქონების დაბრუნება და ამ მიზნით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

მუხლი 14. ვალდებულებათა შესრულება

ვალდებულების შესრულება ან/და შესრულების მიღება, ასევე ვალდებულებათა შესრულების დადასტურება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 15. ცვლილებები ხელშეკრულებაში

1. ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებებით. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები განიხილება როგორც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

2. ცვლილებების შეტანის შესახებ მხარეებს შორის დგება ხელშეკრულება (შეთანხმება). შეთანხმებას უთანაბრდება მხარის განცხადება და მის საფუძველზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გამოცემული აქტი (მათ შორის, წერილი).

მუხლი 16. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული სხვა დებულებები

მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმებით სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოების, სხვა მუნიციპალიტეტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), უნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოებისათვის გადაცემის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო იტოვებს უფლებას, რომ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს ნებისმიერ დროს გადაცემული ქონების დაბრუნება და ამ მიზნით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი
ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება)

№-----

დ. ქედა

„----“ „-----“ 20 წელი

აუქციონში გამარჯვებული პირის (ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) მიმღები პირის) მონაცემები:

სახელი, გვარი/დასახელება	-----/-----
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი	-----/-----
მისამართი	-----
წარმომადგენელი/მინდობილი პირი	-----/-----

აუქციონზე შეძენილი ქონების მონაცემები:

მისამართი	-----
საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი №	-----
ფართობი (კვ.მ.)/წილის ოდენობა	-----
დანიშნულება	-----

ჩატარებული აუქციონის შესახებ მონაცემები და ინფორმაცია:

აუქციონის ფორმა	-----
ჩატარების ადგილი/სამუალება	-----
დაწყების და დასრულების თარიღი და დრო	-----
აუქციონის №	-----
აუქციონის ლოტის №	-----
განაცხადის №	-----
ქონების საწყისი საპრივატიზებო	-----
საფასური (ლარი)	-----
აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ	-----
შემოთავაზებული ფასი/გაყიდული ქონების	-----
სრული საპრივატიზებო საფასური (ლარი)	-----

ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობები:

სრული საპრივატიზებო საფასურის	-----
გადახდის ბოლო ვადა	-----
სხვა სააუქციონო პირობები/ვალდებულებები/	-----
შეზღუდვები	-----

მხარეთა უფლება-მოვალეობები:

1. ამ ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) საფუძველზე 15 კალენდარული დღის ვადაში, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და ქონების შემძენს შორის ფორმდება წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება.

2. აუქციონის შედეგები უქმდება და აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახ-

დილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე სრულად ირიცხება ქედის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტში, თუ:

ა) აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) აუქციონში გამარჯვებულმა, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა მუნიციპალიტეტის შემდგომი ქონების სრული ღირებულება.

3. მყიდველი ვალდებულია აუქციონზე შემდგომი ქონების სრული საპრივატიზაციო საფასური გადაიხადოს ქედის მუნიციპალიტეტის შემდეგ ანგარიშზე: -----

4. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

5. აუქციონში გამარჯვებულს სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

6. ქედის მუნიციპალიტეტის ქონების შემდგომი საკუთრების უფლება გადადის შემდგომი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შემდგომი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. ამასთან, პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა გაცივმა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულებების/სააუქციონო პირობების შესრულების პირობით.

7. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება გამყიდველს, ხოლო ორი გადაეცემა მყიდველს.

**ქედის მუნიციპალიტეტის მერი
ან მის მიერ უფლებამოსილი პირი**

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) ბ.ა. (სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვებული

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი
ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება)

№-----

დ. ქედა

„----“ „-----“ 20 წელი

აუქციონში გამარჯვებული პირის (ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) მიმღები პირის) მონაცემები:

სახელი, გვარი/დასახელება	-----/-----
პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი	-----/-----
მისამართი	-----
წარმომადგენელი/მინდობილი პირი	-----/-----

აუქციონზე სარგებლობის უფლებით მიღებული ქონების მონაცემები:

მისამართი	-----
საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი №	-----
ფართობი (კვ.მ.)/წილის ოდენობა	-----
დანიშნულება	-----

ჩატარებული აუქციონის შესახებ მონაცემები და ინფორმაცია:

სარგებლობის ფორმა	-----
აუქციონის ფორმა	-----
ჩატარების ადგილი/საშუალება	-----
დაწყების და დასრულების თარიღი და დრო	-----
აუქციონის №	-----
აუქციონის ლოტის №	-----
განაცხადის №	-----
ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური (ლარი)	-----
აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ფასი/საბოლოო წლიური სარგებლობის საფასური (ლარი)	-----

ჩატარებული აუქციონის განსაკუთრებული პირობები:

სარგებლობაში გაცემის ვადა	-----
წლიური სარგებლობის საფასურის გადახდის პერიოდულობა და წესი	-----
სხვა სააუქციონო პირობები/ვალდებულებები/ შეზღუდვები	-----

მხარეთა უფლება-მოვალეობები:

1. ამ ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) საფუძველზე 15 კალენდარული დღის ვადაში, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოსა და ქონების სარგებლობაში მიმღებს შორის ფორმდება სარგებლობის ხელშეკრულება.

2. აუქციონის შედეგები უქმდება და აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე სრულად ირიცხება ქედის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტში, თუ აუქციონში გამარჯვებულმა სარგებლობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

3. ქონების მიმღები ვალდებულია სარგებლობაში მიღებული ქონების სრული წლიური სარგებლობის საფასური იხადოს/გადაიხადოს აუქციონის, ამ ოქმის და სარგებლობის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის შემდეგ ანგარიშზე: -----

4. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბეს სახით გადახდილი თანხა ეთვლება ბოლო წლის ქირის გადახდის ანგარიშსწორებისას.

5. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი რჩება მესაკუთრეს, ხოლო ორი გადაეცემა ქონების მიმღებს.

**ქედის მუნიციპალიტეტის მერი
ან მის მიერ უფლებამოსილი პირი**

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) ბ.ა. (სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვებული

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის
ხელშეკრულება

№-----

დ. ქედა

„----“ „-----“ 20 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები, სამართლებრივი საფუძვლები და საგანი

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა, ერთი მხრივ, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ
ორგანოსა და, მეორე მხრივ, -----

-----შორის

(აუქციონში გამარჯვებულის - ფიზიკური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის ორგანიზაციულ-
სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი,
საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზე, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“,
„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის,
საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი
საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების და „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების
განკარგვის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის,
ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების
დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს --- წლის --- ----- №---
დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, -----

(ქონების მისამართი, ქონების დასახელება, ქონების ფართობი, ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი,
საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ
გამართულ №--- აუქციონზე №--- ლოტზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის:

/-----//-----/
(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად და მას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი
--- წლის --- ----- №--- ოქმით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შესრულების საფუძველზე, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ

საკუთრებაში გადაეცემა -----

----- (შემდგომში - ქონება)

(ქონების მისამართი, ქონების დასახელება, ქონების ფართობი, ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

2. ნასყიდობის ფასი, მისი გადახდის დრო და წესი

2.1. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასური: /-----/ /-----/

(ციფრებით)

(სიტყვიერად)

გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში შემდეგ საბანკო ანგარიშზე -----

2.2. აუქციონში გამარჯვებულმა მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება სრულ საპრივატიზებო საფასურს ან/და საგარანტიო თანხას/ბეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის არსებულ სხვაობას.

3. სხვა პირობები და ვალდებულებები

3.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონში გამარჯვებული მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირდება შეძენილი ქონების მომავალ მესაკუთრედ.

3.2. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში. ის უფლებამოსილია ამ ქონებასთან დაკავშირებით აიღოს ნებართვები (მათ შორის მშენებლობის), ლიცენზიები და განახორციელოს სხვა ქმედებები საპრივატიზებო პირობების/შეზღუდვების გათვალისწინებით. ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

3.3. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი.

3.4. ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

3.5. თუ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში სრულად არ გადაიხდის სრულ საპრივატიზებო საფასურს, აუქციონის შედეგები უქმდება, აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი ბე ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და არ უნაზღაურდება ქონებაზე გაწეული ხარჯები.

3.6. აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ბე ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.7. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

3.8. ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ.

3.9. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს და რეგისტრაციის ხარჯებს იხდის აუქციონში გამარჯვებული.

3.10. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.11. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

**ქედის მუნიციპალიტეტის მერი
ან მის მიერ უფლებამოსილი პირი**

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვებული

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

პირობებით გამოცხადებული აუქციონის
ხელშეკრულება

№-----

დ. ქედა

„----“ „-----“ 20 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები, სამართლებრივი საფუძვლები და საგანი

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა, ერთი მხრივ, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ
ორგანოსა და მეორე მხრივ, -----

შორის

(აუქციონში გამარჯვებულის - ფიზიკური პირის სახელი, გვარი/იურიდიული პირის ორგანიზაციულ-
სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, გვარი,
საიდენტიფიკაციო დოკუმენტების მონაცემები)

მასზედ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“,
„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის,
საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი
საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების და „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების
განკარგვის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის,
ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების
დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს --- წლის --- ----- №---
დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, -----

(ქონების მისამართი, ქონების დასახელება, ქონების ფართობი, ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი,
საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

შემდგომი პრივატიზების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ
გამართულ №--- აუქციონზე №--- ლოტზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის:

/-----//-----/
(ციფრებით) (სიტყვიერად)

საფუძველზე, ის გამოვლინდა გამარჯვებულად და მას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი
--- წლის --- ----- №--- ოქმით და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების
შესრულების პირობით, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდგომ საკუთრებაში

გადაეცემა -----

----- (შემდგომში - ქონება)

(ქონების მისამართი, ქონების დასახელება, ქონების ფართობი, ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი, საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი, წილის ოდენობა და ქონების სხვა აღწერილობა)

2. სააუქციონო პირობები/შეზღუდვები

2.1. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონზე შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასური: /-----/ /-----/

(ციფრებით)

(სიტყვიერად)

გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან -----

----- ვადაში

(აუქციონის პირობებით გათვალისწინებული ვადა და წესი)

შემდეგ საბანკო ანგარიშზე -----

2.2. აუქციონში გამარჯვებულმა მითითებულ ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესატყვისება სრულ საპრივატიზებო საფასურს ან/და საგარანტიო თანხას/ბეს და სრული ღირებულების ოდენობას შორის არსებულ სხვაობას.

2.3. ----- (სხვა სააუქციონო პირობები/შეზღუდვები).

2.4. ----- (სხვა სააუქციონო პირობები/შეზღუდვები).

2.5. ----- (სხვა სააუქციონო პირობები/შეზღუდვები).

3. სხვა პირობები და ვალდებულებები

3.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონში გამარჯვებული მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრირდება შეძენილი ქონების მომავალ მესაკუთრედ.

3.2. ოქმისა და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად დაფარვამდე აუქციონში გამარჯვებულს მუნიციპალიტეტის ქონება გადაეცემა მფლობელობაში. ის უფლებამოსილია ამ ქონებასთან დაკავშირებით აიღოს ნებართვები (მათ შორის მშენებლობის), ლიცენზიები და განახორციელოს სხვა ქმედებები საპრივატიზებო პირობების/შეზღუდვების გათვალისწინებით. ამასთან, აუქციონში გამარჯვებული პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

3.3. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, შეძენილი ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მოთხოვნისთანავე, მათ შესრულებაზე წარუდგინოს ინფორმაცია აუქციონატორს.

3.4. აუქციონში გამარჯვებულს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გადაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი.

3.5. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში,

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებულია ოქმითა და წინამდებარე ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წინასწარ წერილობით უნდა ეცნობოს გამყიდველს.

3.6. შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს აუქციონში გამარჯვებულის უფლებამონაცვლეს.

3.7. ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

3.8. ოქმითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ოქმითა და ხელშეკრულებით ელექტრონული აუქციონის პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა) მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (აღნიშნული პირგასამტეხლო, ამავე პუნქტით დადგენილი ოდენობით, გამოიყენება ასევე ქონების შემძენის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის განწილვადების გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში);

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

გ) მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა წარმოადგენს ყოველ დარღვევაზე ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ქონების საბოლოო ფასის 0.05%-ს;

დ) სააუქციონო პირობების (ვალდებულებების) შესრულების დაწყების ან/და დამთავრების ვადების დარღვევისათვის განსაზღვრული პირგასამტეხლო.

3.9. ოქმისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება აუქციონის შედეგების გაუქმების საფუძველად. აუქციონში გამარჯვებულს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, არ უბრუნდება შეტანილი ბე ან წარმოდგენილი საბანკო გარანტია, გადახდილი თანხები და არ აუნაზღაურდება ქონებაზე გაწეული ხარჯები.

3.10. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების უფლება გადადის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და შეძენილი ქონების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ. აუქციონში გამარჯვებულზე საკუთრების მოწმობა გაიცემა და საკუთრების უფლება გადადის ნაკისრი ვალდებულების/სააუქციონო პირობების შესრულების პირობით.

3.11. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციას უზრუნველყოფს და რეგისტრაციის ხარჯებს იხდის აუქციონში გამარჯვებული.

3.12. აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი ბე ჩაითვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

3.13. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, სრული საპრივატიზებო საფასურის გადახდის შემთხვევაში, წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია უბრუნდება უკან.

3.14. იმ შემთხვევაში, თუკი ოქმითა და ხელშეკრულებით განსაზღვრულია შეზღუდვები, აღნიშნული განიხილება როგორც შემენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა.

3.15. პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით.

3.16. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობად საინვესტიციო ვალდებულების არსებობის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარადგინოს საინვესტიციო ვალდებულების არანაკლებ 10 პროცენტის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღმატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მისი მოქმედების ვადის განმავლობაში უზრუნველყოფს მყიდველის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მყიდველი ვალდებულია უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 (ერთი) თვის ვადაში შეავსოს იგი სრულ ოდენობამდე. მყიდველის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმკარგავის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტში.

3.17. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სააუქციონო პირობები/შეზღუდვები ამ ხელშეკრულების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე რეგისტრირდება მარეგისტრირებელ ორგანოში.

3.18. უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო დატვირთული ქონების მოთხოვნის უფლების მფლობელის საკუთრებაში გადასვლისას ან „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით რეალიზაციისას (მიუხედავად ასეთი რეალიზაციის ფორმისა) ახალ და ყოველ შემდგომ მესაკუთრეზე სრულად გადადის ქონების შემენის მიერ მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრი საპრივატიზებო ვალდებულებები, შეზღუდვები და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებამოსილებები, რადგან ქონების დატვირთვამდე ამ ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია.

3.19. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) უფლება (უფლებები) უქმდება (მათ შორის იპოთეკის უფლება), რადგან ქონების დატვირთვამდე ამ ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემენს მუნიციპალიტეტი არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და გაწეულ ხარჯებს.

3.20. ოქმითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების/სააუქციონო პირობების შესრულების დადასტურება ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი წესით.

3.21. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.22. აუქციონში გამარჯვებული ადასტურებს, რომ გაეცნო, ეთანხმება ხელშეკრულების შინაარსს და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ხელს აწერს წინამდებარე ხელშეკრულებას.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი
ან მის მიერ უფლებამოსილი პირი

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

აუქციონში გამარჯვებული

/-----/ /-----/
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)



ქედის მუნიციპალიტეტი

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

№ _____

„-----“ „-----“ 20 წ.

ექლევა _____ მასზე,
(მესაკუთრის სახელი გვარი/დასახელება, პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი)

რომ მას _____
(უპირობო, პირობები/ვალდებულებები, შეზღუდვა)

საკუთრებაში გადაეცა _____
(ქონების დასახელება და მისამართი)

_____ (ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

_____ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი)

საფუძველი: _____
(ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თარიღი და ნომერი)

ოქმის და ხელშეკრულების თარიღი და ნომერი _____

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელთაგან ერთი წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს, მესამე ეგზემპლარი ინახება ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ძალაშია მხოლოდ ოქმთან და ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის მერი /-----/ /-----/
(ხელმოწერა) ბ.ა. (სახელი, გვარი)

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, ნასყიდობის, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №19 დადგენილების მიმართ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ (2018 წლის 23 მარტის №9374) გაცემული სამართლებრივი დასკვნა, რომლის შესაბამისად აღნიშნული დადგენილება მოითხოვს ცვლილებას რადგან „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლით მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, დაადგინოს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით (კოდექსით და ამ წესით გათვალისწინებულის გარდა) დამატებითი წესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება და გამომდინარეობს მათგან. ამდენად შემუშავებული იქნა ახალი რედაქციით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების შესაბამისად ახალი სამართლებრივი აქტის პროექტი.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის მიზნით კანონმდებლობის შესაბამისად დამატებითი წესების დადგენა და მასთან დაკავშირებული პროცედურების სამართლებრივი მოწესრიგება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თემთა მთავრობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესებისა და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის (პირობით, პირობის გარეშე) ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ტიპური ფორმების დამტკიცება, ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის და მოთხოვნებისა და უფლებების განკარგვისას, მისი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოიყენება ამ დადგენილებაზე თანდართული ფორმები. თანდართული ფორმების ტექსტი შესაძლებელია შეიცვალოს მოქმედი კანონმდებლობისა და განსაკარგი ობიექტის თავისებურების გათვალისწინებით.

გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ამ ცვლილებით არ ხდება დამატებითი წესების დუბლირება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესებთან. შესაბამისად განხორციელდა მისი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

**„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და
ბაზრობების
რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე
საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge) .

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2018 წლის -- მაისი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესები, თანახმად დანართი №1-სა.

მუხლი 2.

დადგენილებ ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობაში გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრის და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსების, ასევე ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის წესებს.

2. წინამდებარე წესი არ არეგულირებს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილ ობიექტებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ან შენობა-ნაგებობაში, ბაზრისა და ბაზრობის ტერიტორიაზე მოწყობილ ობიექტში ვაჭრობის წესებს.

3. წინამდებარე წესის შესაბამისად რეგულირებას არ ექვემდებარება ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობა:

ა) თუ ნივთის რეალიზაციისათვის მიწის ნაკვეთის მოწყობა ხდება იმდაგვარად, რომ ნივთის რეალიზაცია ხდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე აშენებულ შენობაში (შენობის მხოლოდ შიდა სივრცეში) და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ არ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს.

ბ) ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში განთავსებული ობიექტები.

გ) ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი, ყველა სხვა შენობაში განთავსებული ობიექტი, თუ ნივთის რეალიზაცია ხდება მხოლოდ შენობაში (შენობის მხოლოდ შიდა სივრცეში) და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ არ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს.

დ) მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ ან/და შენობა-ნაგებობა, სადაც საკუთარი მოხმარებისთვის ან შემდგომში რეალიზაციისათვის ან/და სხვა პირისათვის მომსახურების გაწევის მიზნით ხდება ნივთის წარმოება-გადამუშავება, თუნდაც აღნიშნულ საქმიანობას თან სდევდეს წარმოების ადგილზე ნივთის რეალიზაცია (საწარმო ობიექტები), მაგრამ არ არსებობს წინამდებარე წესის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

ე) მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ ან/და შენობა-ნაგებობა, სადაც საკუთარი მოხმარებისთვის ან შემდგომი რეალიზაციისათვის ან/და სხვა პირისათვის მომსახურების გაწევის მიზნით ხდება ნივთის შენახვა, თუნდაც აღნიშნულ საქმიანობას თან სდევდეს შენახვის ადგილზე ნივთის რეალიზაცია (სასაწყობო ნაგებობები), მაგრამ არ არსებობს წინამდებარე წესის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებები.

4. თუ ნივთის რეალიზაცია ხდება შენობაში განთავსებულ ობიექტში, მათ შორის საწარმო ობიექტში ან სასაწყობო ნაგებობაში და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს, ნივთის რეალიზაცია ითვლება გარე ვაჭრობად.

მუხლი 2. გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის ამოცანები

წინამდებარე წესის ამოცანებია:

ა) მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვა;

ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

- გ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესების დაცვა;
- დ) ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გარე ვაჭრობა:

ა.ა) ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსებული ისეთი ობიექტებიდან, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის შესაბამისად მიწასთან მყარად არ არის დაკავშირებული და ამავე კოდექსის 150-ე მუხლის შესაბამისად არ ქმნის მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს (ჯიხური, მაცივარი, სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა);

ა.ბ) ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობიდან, თუ აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ხდება ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის (ჯიხური, მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა) მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსება;

ა.გ) საზოგადოებრივ სივრცეში ან სხვა ხალხმრავალ ადგილებში, გარდა ბაზრისა და ბაზრობისა, ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ფიზიკური პირის მიერ უშუალოდ ნივთის ან იმ მოწყობილობა-დანადგარის მექანიკური საშუალებების გამოყენებით ან/და უამისოდ ტარებით/გადაადგილებით, რომელზეც განთავსებულია სარეალიზაციოდ განკუთვნილი ნივთი ან მომსახურების გაწევისათვის გამოსაყენებელი ნივთი, თუ ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის შეთავაზების მიზნით პირი თვითონ ახდენს სხვადასხვა ადგილებზე გადაადგილებას და ასეთ გადაადგილებას თან სდევს ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის შეთავაზება;

ა.დ) რესტორნის, კაფე-ბარის და სხვა ობიექტის მიმდებარე საზოგადოებრივ სივრცეში მაგიდის და სხვა ნივთის განლაგება, რომელზეც მომსახურების გაწევა ხდება არსებული რესტორნიდან, კაფე-ბარიდან და სხვა ობიექტიდან;

ა.ე) ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა საზოგადოებრივი ტრასპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილიდან ან/და მასზე განთავსებული ნაგებობიდან;

ა.ვ) აზარტული და მომგებიანი თამაშობებისთვის განკუთვნილი სათამაშო ინვენტარის, ასევე სხვა სათამაშო და გასართობი აპარატის ან ნივთის საზოგადოებრივ სივრცეში განთავსება.

ბ) ბაზარი – მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ, რომელიც მთლიანად გამოიყენება მზა პროდუქციის სახით არსებული ნივთის რეალიზაციისათვის, მაგრამ იგი ძირითადად განკუთვნილია სასურსათო პროდუქციის რეალიზაციისათვის და თითოეული პირი ნივთის რეალიზაციას ეწევა როგორც დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტი (ინდივიდუალური მეწარმე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი) ან/და პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს ნივთის რეალიზაციას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან ან/და მოსარგებლესთან იმყოფება შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში;

გ) ბაზრობა – მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით ან უამისოდ, რომელიც მთლიანად გამოიყენება მზა პროდუქციის სახით ნივთის რეალიზაციისათვის, მაგრამ იგი ძირითადად განკუთვნილი არ არის სასურსათო პროდუქციის რეალიზაციისათვის და თითოეული პირი ნივთის რეალიზაციას ეწევა როგორც დამოუკიდებელი მეწარმე სუბიექტი (ინდივიდუალური მეწარმე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი) ან/და პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს ნივთის რეალიზაციას, მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან ან/და მოსარგებლესთან იმყოფება შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში. ბაზრობა შეიძლება მოეწყოს მხოლოდ ერთი სახეობის ნივთის რეალიზაციისათვის (მაგ. ავტომანქანების ბაზრობა, ტანსაცმლის ბაზრობა და სხვა) ან/და ერთდროულად სხვადასხვა სახის ნივთის სარეალიზაციოდ. თუ ნივთის რეალიზაცია

არ ხდება მხოლოდ შენობაში (შენობის მხოლოდ შიდა სივრცეში), ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს და ობიექტი, საიდანაც (რომლიდანაც) ხდება ნივთის რეალიზაცია, ჩანს საზოგადოებრივი სივრციდან;

დ) ნივთი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

ე) ნივთის რეალიზაცია – გაყიდვის ან სხვა სახით გასაღების მიზნით ნივთის შენახვა და ნებისმიერი ფორმით სხვა პირისათვის გადაცემა;

ვ) მომსახურების გაწევა – სხვა პირის სასარგებლოდ სასყიდლით ან უსასყიდლოდ ნებისმიერი ისეთი ქმედების განხორციელება, რაც წინამდებარე წესის შესაბამისად არ განიხილება ნივთის რეალიზაციად;

ზ) სასურსათო პროდუქცია – ადამიანის საკვებად განკუთვნილი, გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი ნებისმიერი პროდუქტი, ყველა სახის სასმელი, საღებავი რეზინი და ყველა ნივთიერება, დაფასოებული და სურსათში გამოსაყენებელი წყლის ჩათვლით, რომელიც მიზანმიმართულადაა დამატებული სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს;

თ) მზა პროდუქცია – რესურსებისა და საქმიანობის ერთობლიობის (სამრეწველო გადამუშავების) შედეგად მიღებული პროდუქტი;

ი) საზოგადოებრივი სივრცე – ავტომაგისტრალი, გზა, განამენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, სკვერი, პარკი, ბულვარი, ბაღი, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები;

კ) შენობა – ნაგებობა, რომელიც ქმნის გადახურულ სივრცეს და მთლიანად შემოსაზღვრულია კედლებით ან/და სხვა შემომზღუდავი კონსტრუქციებით;

ლ) შენობის შიდა სივრცე – შენობის შემომსაზღვრავ კედლებს ან/და სხვა კონსტრუქციებს შორის, შენობის გადახურვის ქვეშ არსებული სივრცე;

მ) შენობის გარეთ არსებული სივრცე – სივრცე, რომელიც წინამდებარე წესის მიზნებისათვის არ წარმოადგენს შენობის შიდა სივრცეს.

მუხლი 4. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობა დასაშვებია ქედის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მხოლოდ საამისოდ განსაზღვრულ ადგილებზე.

2. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრას საკუთარი ინიციატივით ან/და დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

3. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია თითოეული ან რამოდენიმე ან/და ყველა საზოგადოებრივი სივრცისათვის დაამტკიცოს გარე ვაჭრობის ადგილების გეგმა.

4. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრასთან ერთად ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, გარე ვაჭრობის თითოეული ან რამდენიმე ან/და ყველა ადგილისათვის დაადგინოს იმ ნივთების სახეობა ან/და ზუსტი ჩამონათვალი, რომელთა რეალიზაციაც დასაშვებია ან/და აკრძალულია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე.

5. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრასთან ერთად ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, გარე ვაჭრობის თითოეული ან რამდენიმე ან/და ყველა ადგილისათვის დაადგინოს იმ კონსტრუქციების სახეობები ან/და მათი არქიტექტურული იერსახე, რომელთა განთავსებაც დასაშვებია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე.

6. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა შეიძლება მოხდეს მუდმივად, მაგრამ არა უმეტეს ორი წლისა ან სეზონურად, მათ შორის, კვირის კონკრეტული დღეებისათვის.

7. თუ გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება სეზონურად, გარე ვაჭრობის ადგილის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განისაზღვროს ვადა, რომლითაც ადგილი განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილად.

8. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის ადგილებად განსაზღვროს ერთი ან რამდენიმე ქუჩა იმდაგვარად, რომ აღნიშნულ ქუჩებში მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს ან/და სხვაგვარად შეიზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.

9. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნული ლანდშაფტის ტერიტორია მთლიანად ან ნაწილობრივ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვროს იმდაგვარად, რომ აღნიშნული ტერიტორიის კონკრეტული ადგილის გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრა მოხდეს გარე ვაჭრობის უფლების მიცემაზე უფლებამოსილი ორგანოს (პირის) მიერ გარე ვაჭრობის უფლების მიცემის საკითხის განხილვისას ან მისგან დამოუკიდებლად.

10. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასულებელი ორგანო უფლებამოსილია გარე ვაჭრობის ადგილები განსაზღვროს იმდაგვარად, რომ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ, სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად დაუკავშირებელ რამდენიმე ადგილზე გარე ვაჭრობის უფლება გაცემას ექვემდებარებოდეს მხოლოდ ერთ ლოტში გაერთიანებით.

11. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

- ა) მუნიციპალიტეტის განვითარების ინტერესები;
- ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- გ) სატრანსპორტო ნაკადი;
- დ) საზოგადოებრივი სივრცეების გამტარუნარიანობა;
- ე) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;
- ვ) საგზაო მოძრაობის წესები;
- ზ) ეკოლოგიური მდგომარეობა;
- თ) საზოგადოების სხვა ინტერესები.

12. დაუშვებელია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული იქნეს ტროტუარის ტერიტორია ბორდიურიდან (ნაწიბურიდან) 0,75 სანტიმეტრზე ნაკლებ მანძილზე ან/და გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთი (ობიექტი) განთავსდეს ბორდიურიდან (ნაწიბურიდან) 0,75 სანტიმეტრზე ნაკლებ მანძილზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

13. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ აღნიშნულ ადგილზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის (ობიექტის) განთავსებამ არ დააბრკოლოს ან სხვაგვარად არ შეზღუდოს მიწის ვაკისის სავალ ნაწილზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა ან არ შეზღუდოს ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ხილვადობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ხდება ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

14. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ან/და გარე ვაჭრობის უფლების მიცემა არ ზღუდავს ან/და არ კრძალავს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილები, რომლებზეც გაცემულია გარე ვაჭრობის უფლება, გამოყენებულ იქნეს კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის. თუ აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ადგილებს მოიცავს გარე ვაჭრობის უფლება, ასეთი გადაწყვეტილება შესაბამის ნაწილში გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

15. გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრა ან/და გარე ვაჭრობის უფლების მიცემა უფლებამოსილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და არ უკრძალავს მიიღოს გადაწყვეტილება, ადგილი, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, აღარ განისაზღვროს გარე ვაჭრობის ადგილად. ასეთი გადაწყვეტილება, გარე ვაჭრობის უფლების მიცემის შემთხვევაში, შესაბამის ნაწილში გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

მუხლი 5. გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება

1. გარე ვაჭრობის უფლება შეიძლება მიეცეს მხოლოდ ფიზიკურ ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირს ან პირთა გაერთიანებას.

2. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე პირს გარე ვაჭრობის უფლებას აძლევს ქედის მუნიციპალიტეტის მერი (გარდა ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

3. ქედის მუნიციპალიტეტის მერი პირს გარე ვაჭრობის უფლებას აძლევს მხოლოდ იმ ადგილზე, რომელიც წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილისათვის, გარდა წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე გარე ვაჭრობის უფლების მოპოვებისათვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას.

5. განცხადება ერთდროულად შეიძლება წარდგენილი იქნას გარე ვაჭრობის უფლების რამოდენიმე ადგილზე მიცემის მოთხოვნით. განცხადება შედგენილი უნდა იყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად და უნდა შეიცავდეს:

ა) დაინტერესებული პირის სახელს და მისამართს, მათ შორის საფოსტო მისამართს. თუ განცხადებაში საფოსტო მისამართი პირდაპირ არაა მითითებული, ასეთ მისამართად ჩაითვლება განცხადებაში მითითებული მისამართი;

ბ) გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი იმ ადგილის ზუსტ დასახელებას, რომელზეც სურს გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება;

გ) მითითებას, რომ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე, რომელზეც ითხოვს გარე ვაჭრობის უფლების მოპოვებას, უზრუნველყოფს სისუფთავის დაცვას;

დ) მითითებას, რომ სრულად და ჯეროვნად შეასრულებს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილისათვის დაწესებულ მოთხოვნებს;

ე) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც დაინტერესებული პირის აზრით მნიშვნელობა აქვს გარე ვაჭრობის უფლების მოპოვების საკითხის განხილვისას.

6. დაინტერესებული პირი ვალდებულია განცხადებას დაურთოს მისი პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თუ დაინტერესებული პირი იურიდიული პირია, წესდება ან წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

7. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება (გარე ვაჭრობის უფლების მიცემის ან მასზე უარის თქმის შესახებ) მიიღება ბრძანების სახით განმცხადებლის მიერ ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. გარე ვაჭრობის უფლების მიცემაზე ან/და მიცემაზე უარის თქმის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების (მერის ბრძანების) პროექტს ამზადებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.

9. გარე ვაჭრობის უფლების მინიჭების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება უნდა ადგენდეს:

ა) გარე ვაჭრობის უფლების ვადას. თუ პირს გარე ვაჭრობის უფლება ეძლევა იმ ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია სეზონური გარე ვაჭრობის ადგილად, გარე ვაჭრობის უფლება არ შეიძლება აღემატებოდეს აღნიშნული ადგილისათვის განსაზღვრულ ვადას;

ბ) გარე ვაჭრობის უფლების მთლიან საფასურს;

გ) გარე ვაჭრობის უფლების საფასურის გადახდის ვადებს;

დ) გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას პირგასამტეხლოს ოდენობა;

ე) ანგარიშის ნომერს, რომელზეც უნდა მოხდეს გარე ვაჭრობის უფლების საფასურის გადახდა ან/და დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა;

ვ) მითითებას, რომ პირი ვალდებულია გარე ვაჭრობა განახორციელოს მხოლოდ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ იმ ადგილზე და იმ საზღვრებში, რომელზეც მიეცა გარე ვაჭრობის უფლება;

ზ) მითითებას გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე დასუფთავების წესების (სისუფთავის) დაცვის ვალდებულებაზე;

თ) მითითებას წყლის და დასუფთავების მოსაკრებლის/საფასურის გადახდის ვალდებულებაზე;

ი) მითითებას გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საფუძვლების თაობაზე;

კ) მითითებას, რომ გარე ვაჭრობის უფლება არ ექვემდებარება სხვა პირებზე რაიმე ფორმით გადაცემას;

ლ) სხვა საკითხებს, რომლებიც აუცილებელია გარე ვაჭრობის უფლების გადაცემისათვის.

10. იმ შემთხვევაში, როდესაც გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ერთი ადგილის/ლოტის მიმართ გარე ვაჭრობის უფლების მოპოვებაზე განცხადება წარდგენილი აქვს ერთზე მეტ დაინტერესებულ პირს, აღნიშნულ ადგილზე გარე ვაჭრობის უფლება ავტომატურად ენიჭება პირს, რომლის განცხადებაც აღნიშნული მოთხოვნით პირველი დარეგისტრირდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში. განცხადება არ ითვლება ამ პუნქტის შესაბამისად წარდგენილად, თუ განცხადება წარდგენილია გარე ვაჭრობის ისეთი ადგილის/ლოტის მიმართ, რომელზეც უკვე გაცემულია გარე ვაჭრობის უფლება, თუნდაც აღნიშნული უფლების გაუქმების თაობაზე დაწყებული იყოს წარმოება, მაგრამ არ არის მიღებული გადაწყვეტილება გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების თაობაზე.

11. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებით სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის უფლება შეიძლება მისცეს იმ ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობის, მათ შორის მართვის უფლებით გადაცემული აქვს სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის აღნიშნული ტერიტორია, თუ აღნიშნული ტერიტორია წინამდებარე წესის მე-4 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია გარე ვაჭრობისათვის.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარე ვაჭრობის საფასური მთლიანად ირიცხება ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე, რომელსაც სარგებლობის, მათ შორის მართვის უფლებით გადაცემული აქვს სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია.

13. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როცა წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია მთლიანად ან ნაწილობრივ გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულია იმდაგვარად, რომ კონკრეტული ადგილების გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრა ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელსაც სარგებლობის, მათ შორის მართვის უფლებით გადაცემული აქვს სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია, კონკრეტული ადგილების გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრა სავალდებულოა შეთანხმებული იყოს ქედის მუნიციპალიტეტის მერისთან.

14. გარე ვაჭრობის უფლება მოთხოვნის დათმობის ან/და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე არ ექვემდებარება სხვა პირზე გადაცემას. შესაბამისად, გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების შემთხვევაში, სხვა პირზე გარე ვაჭრობის უფლების მიცემა ხდება წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

15. ამ მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების მოთხოვნის დათმობის ან/და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე სხვა პირზე გადაცემად არ ითვლება შემთხვევა, როცა პირი ნივთის რეალიზაციას/მომსახურების გაწევას ახორციელებს მასთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის მეშვეობით. ასეთ დროს გარე ვაჭრობის უფლების მქონე ვალდებულია გარე ვაჭრობის უფლების მიმცემს წარუდგინოს შესაბამისი ხელშეკრულება (გარიგება) ან/და სხვა აქტი, რომელიც ადასტურებს პირის მასთან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში ყოფნის ფაქტს.

16. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 6. გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება, როცა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის განთავსება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება საზოგადოებრივ სივრცეში

1. თუ ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ხდება ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთიდან ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობიდან, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ხდება ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის (ჯიხური, მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა) მთლიანად ან ნაწილობრივ საზოგადოებრივ სივრცეებში განთავსება, ასევე, თუ ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ხდება საზოგადოებრივი ტრასპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილიდან ან/და მასზე განთავსებული ნაგებობიდან, სავალდებულოა პირს ჰქონდეს გარე ვაჭრობის უფლება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირს გარე ვაჭრობის უფლებას აძლევს ქედის მუნიციპალიტეტის მერი, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობის უშუალოდ მომიჯნავე საზოგადოებრივი სივრცე, ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილი წინამდებარე წესის მე-4 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია გარე ვაჭრობის ადგილად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ პირს, რომლის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში იმყოფება უშუალოდ საზოგადოებრივი სივრცის მომიჯნავედ არსებული ის მიწის ნაკვეთი ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საიდანაც ხდება ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა ან რომლის სარგებლობაშიც იმყოფება საზოგადოებრივი ტრასპორტის გაჩერებისათვის განკუთვნილი ადგილი ან/და მასზე განთავსებული ნაგებობა. თუ მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრე და მოსარგებლე სხვადასხვა პირია, ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლება ენიჭება პირს, რომლის სარგებლობაში და შესაბამისად პირდაპირ მფლობელობაშიც იმყოფება შენობა-ნაგებობა, საიდანაც ხდება ნივთის რეალიზაცია/მომსახურების გაწევა, ხოლო გარე ვაჭრობის უფლება გაცივმა შენობა-ნაგებობის სარგებლობის ვადით, მაგრამ არა უმეტეს წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ვადისა.

4. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების გაცემისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-4-9 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურები და ვადები.

5. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების მიცემის მოთხოვნისას დაინტერესებული პირი, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას დამატებით წარუდგენს შესაბამისად მიწის ნაკვეთის ან/და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის საკუთრების ან სარგებლობის დამდგენ დოკუმენტს.

6. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 7. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება

1. პირს, რომელსაც წინამდებარე წესის მე-5-6 მუხლების შესაბამისად მიეცემა გარე ვაჭრობის უფლება, გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე უფლება აქვს განათავსოს მხოლოდ I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობა ან/და განათავსოს ისეთი ნივთი, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მიხედვით არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობას და შესაბამისად არ მიეკუთვნება რომელიმე კლასს (მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო

საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა), თუმცა აღნიშნული ნივთები განკუთვნილია უშუალოდ გარე ვაჭრობისათვის.

2. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ითვლება დროებით შენობა-ნაგებობად.

3. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა ხდება მშენებლობის ნებართვის გარეშე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით. შესაბამისად, გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე არ ვრცელდება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ ზონების, პირობებისა და I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობათა სახეობათა განსაზღვრის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2010 წლის 31 აგვისტოს №15** დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმები და ამავე დებულების მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

4. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე I კლასს მიკუთვნებული შენობა-ნაგებობის მშენებლობისას, პირი ვალდებულია განცხადებას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა დამატებით დაურთოს გარე ვაჭრობის უფლების მიცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და განმცხადებლის (გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის) პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თუ გარე ვაჭრობის უფლების მქონე იურიდიული პირია, წესდება ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

5. გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე ისეთი ნივთის განთავსება, რომელიც „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მიხედვით არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობას და შესაბამისად არ მიეკუთვნება რომელიმე კლასს (მაცივარი, სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ან მისი მისაბმელი, ნივთის რეალიზაციის სხვა სპეციალური დანადგარი, დახლი და სხვა), თუმცა აღნიშნული ნივთები განკუთვნილია უშუალოდ გარე ვაჭრობისათვის, დასაშვებია ქედის მუნიციპალიტეტის მერს მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის საფუძველზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის განთავსების მიზნით გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს ქედის მუნიციპალიტეტის მერს. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თუ გარე ვაჭრობის უფლების მქონე იურიდიული პირია, წესდება ან მისი სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) გარე ვაჭრობის უფლების მიცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთის ესკიზური პროექტი და მისი განთავსების ესკიზური პროექტი შესაბამისი განშლებით.

7. ქედის მუნიციპალიტეტის მერია (უფლებამოსილი სამსახური - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური) ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ სრულყოფილ დოკუმენტებს იხილავს და ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას ან ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს განცხადების წარდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი დარღვევის შემთხვევაში წარდგენილი ესკიზური პროექტი ითვლება შეთანხმებულად.

შესაბამისად, ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში ქედის მუნიციპალიტეტის მერიას (უფლებამოსილი სამსახური - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს) უფლება არ აქვს დაინტერესებულ პირს უარი უთხრას გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთისა და მისი განთავსების ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ განმცხადებელს წინამდებარე წესის შესაბამისად მიცემული არ აქვს გარე ვაჭრობის უფლება.

9. გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ნივთისა და მისი განთავსების ესკიზური პროექტის შეთანხმებაზე ან/და შეთანხმებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ორგანოს (უფლებამოსილი სამსახური - სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის) მიერ მიიღება წერილის სახით, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და აღნიშნული აღარ საჭიროებს დამატებით წერილობითი გადაწყვეტილების მიღებას.

10. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 8. გარე ვაჭრობის უფლების საფასური და მისი განსაზღვრის წესი

1. გარე ვაჭრობის უფლების მიცემა ხდება სასყიდლით.

2. გარე ვაჭრობის უფლების საფასურის შემოღების ან გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს და საფასურის ოდენობას განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. გარე ვაჭრობის უფლების საფასურის ამოღებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია, გარდა წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლების საფასურის ამოღებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც სარგებლობის, მათ შორის, მართვის უფლებით გადაცემული აქვს სკვერის, პარკის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორია.

5. გარე ვაჭრობის უფლების საფასური დგინდება ფიქსირებული ფასის სახით და იგი გარე ვაჭრობის უფლების მიცემისას არ ექვემდებარება გაზრდას ან შემცირებას.

6. გარე ვაჭრობის უფლების საფასური დგინდება გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის ყოველთვიური საფასურის სახით.

7. კვირების, თვეების და წლების გამოთვლა ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

8. პირი, რომელსაც წინამდებარე წესის შესაბამისად მიეცა გარე ვაჭრობის უფლება, ავტომატურად ხდება ვალდებული გადაიხადოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ მუხლის შესაბამისად დადგენილი საფასური.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ გარე ვაჭრობის უფლების მიცემის აქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისას

1. გარე ვაჭრობის უფლების საფასურის ვადამოსული გადასახდელი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირს პირგასამტეხლოს სახით ეკისრება გარე ვაჭრობის უფლების მთლიანი საფასურის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2. გარე ვაჭრობის უფლების მოთხოვნის დათმობის ან/და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე სხვა პირზე გადაცემასას გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირს თითოეული ასეთი დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ეკისრება გარე ვაჭრობის უფლების მთლიანი საფასურის სრული ოდენობა.

3. წინამდებარე წესის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირს პირგასამტეხლოს სახით

ეკისრება გარე ვაჭრობის უფლების მთლიანი საფასურის სრული ოდენობა, ასევე მასვე ეკისრება გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილის გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ განთავსებული ნივთებისაგან გათავისუფლებისათვის გარე ვაჭრობის უფლების გამცემი ორგანოს (პირის) მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

4. ამ მუხლის პირველი - მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევების გარდა, გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ გარე ვაჭრობის უფლების მიმნიჭებელი აქტით ან წინამდებარე წესით დაკისრებული ნებისმიერი სხვა ვალდებულებების დარღვევისას, გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირს თითოეული ასეთი დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით ეკისრება გარე ვაჭრობის უფლების მთლიანი საფასურის 0,05%.

5. ამ მუხლის რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება, შესაბამისი დარღვევის არსებობისას არ კრძალავს ამ მუხლის რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

6. ამ მუხლით დაკისრებული პასუხისმგებლობის დაკისრება გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან.

7. დარღვევის არსებობისას გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საკითხები წესრიგდება წინამდებარე წესის მე-10 მუხლით.

მუხლი 10. გარე ვაჭრობის უფლების გაუქმება

1. გარე ვაჭრობის უფლება შეიძლება გაუქმდეს გარე ვაჭრობის უფლების გამცემისა და გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

2. გარე ვაჭრობის უფლების გამცემი ორგანოს (პირის) მხრიდან ცალმხრივად გაუქმების საფუძველია:

ა) გაფრთხილების მიუხედავად, დაწესებულ ვადაში გარე ვაჭრობის უფლების მიმნიჭებელი აქტით ან წინამდებარე წესით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, მათ შორის, გაფრთხილების მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებების განმეორებით დარღვევა ან/და დარღვევის გამოუსწორებლობა;

ბ) დაკისრებული პირგასამტეხლოს დაწესებულ ვადაში გადაუხდელობა;

გ) გაფრთხილების მიუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;

დ) გარე ვაჭრობის უფლების მოთხოვნის დათმობის ან/და სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე სხვა პირზე გადაცემა;

ე) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადგილს, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, აღარ განსაზღვრავს გარე ვაჭრობის ადგილად;

ვ) ადგილი, რომელიც განსაზღვრული იყო გარე ვაჭრობისათვის, საჭიროა კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზობრივი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის.

3. გარე ვაჭრობის უფლება, გარე ვაჭრობის უფლების გამცემის ან/და გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ ცალმხრივად შეიძლება გაუქმდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძველითაც, რომლებიც წინამდებარე წესით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

4. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების შემთხვევაში, გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირს არ დაუბრუნდება უკვე გადახდილი საფასური, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული გარე ვაჭრობის უფლების მიმნიჭებელი აქტით. ასევე, არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ გარე ვაჭრობის უფლების გაუქმება გარე ვაჭრობის უფლების გამცემი ორგანოს (პირის) მიერ მოხდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ან/და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით ან/და გარე ვაჭრობის უფლების გაუქმებას საფუძველად არ უდევს გარე ვაჭრობის უფლების გამცემის ბრალეული ქმედება.

5. ამ მუხლის შესაბამისად გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირი ვალდებულია დაუყონებლივ წაიღოს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის

შემთხვევაში გარე ვაჭრობის უფლების გამცემი უფლებამოსილია თვითონ მოახდინოს გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრული ადგილის გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ განთავსებული ნივთებისაგან გათავისუფლება, რა დროსაც გარე ვაჭრობის უფლების გამცემს არ აკისრია აღნიშნული ნივთების დაცვისა და შენახვის ვალდებულება.

6. გარე ვაჭრობის უფლების გაუქმებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

მუხლი 11. ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის ძირითადი პირობები

1. წინამდებარე მუხლის შესაბამისად სავალდებულოა მოეწყოს ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორია, თუ ნივთის რეალიზაცია ხდება მხოლოდ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმიდან ან/და არასტაციონალური კონსტრუქციიდან ან/და მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში იმდაგვარად, რომ ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა) უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას სავალდებულოა ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორია მოეწყოს იმდაგვარად, რომ მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმა ან/და არასტაციონალური კონსტრუქცია ან/და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა), რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს, არ ჩანდეს საზოგადოებრივი სივრციდან.

3. წინამდებარე წესის მიზნებისათვის მიწის ნაკვეთზე განთავსებული სტაციონალური არქიტექტურული ფორმა ან/და არასტაციონალური კონსტრუქცია ან/და ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტი (დახლი, მაცივარი და სხვა), რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს, საზოგადოებრივი სივრციდან არ ჩანს, თუ ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიასა და საზოგადოებრივ სივრცეს შორის უკვე არსებული შენობა-ნაგებობა ან ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ასევე მიწასთან მყარად დაკავშირებული სხვა ობიექტი (მათ შორის ღობე) საზოგადოებრივი სივრცის მხრიდან მთლიანად ფარავს მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სტაციონალურ არქიტექტურულ ფორმებს ან/და არასტაციონალურ კონსტრუქციებს ან/და მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობაში ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილ ობიექტს (დახლი, მაცივარი და სხვა), რომელიც უშუალოდ უკავშირდება შენობის გარეთ არსებულ სივრცეს.

4. აკრძალულია ბაზრის ან/და ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობის გამოყენებით გარე ვაჭრობის განხორციელება.

5. ბაზარი ან/და ბაზრობა უნდა მოეწყოს იმდაგვარად, რომ ბაზრის ან ბაზრობისათვის განკუთვნილ ტერიტორიაზე დარჩეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების საკმარისი ადგილები.

6. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებისას და მშენებლობის ნებართვის გაცემისას დაიცვას ამ მუხლის მოთხოვნები.

7. ამ მუხლის 1-ლი მე-3 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება ბაზრისა და ბაზრობების მიმართ, როცა ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტების (დახლი, მცირე არქიტექტურული ფორმები და სხვა) ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსება ხდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზური პროექტი) შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ნივთის რეალიზაციისათვის განკუთვნილი ობიექტების (დახლი, მცირე არქიტექტურული ფორმები და სხვა) ბაზრის ან/და ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსების სქემას, წყობას და არქიტექტურულ იერსახეს.

მუხლი 12. საგამონაკლისო რეგულირება

ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია უქმე დღეებისათვის, ასევე ქედის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა დღეებისათვის განსაზღვროს

ადგილები, სადაც გარე ვაჭრობა დასაშვებია წინამდებარე წესის მე-4 - მე-10 მუხლების დაუცველად, ასევე განსაზღვროს აღნიშნულ ადგილებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსების პირობები.

მუხლი 13. წესის დარღვევა

1. წინამდებარე წესის დარღვევას წარმოადგენს გარე ვაჭრობის წესის დარღვევა და ბაზრისა ან/და ბაზრობის მოწყობის წესის დარღვევა.
2. გარე ვაჭრობის წესის დარღვევას წარმოადგენს:
 - ა) გარე ვაჭრობა შესაბამისი უფლების გარეშე;
 - ბ) გარე ვაჭრობა, გარე ვაჭრობის უფლების მიცემის (მიმნიჭებელი) აქტით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით.
3. ბაზრისა და ბაზრობის მოწყობის წესის დარღვევას წარმოადგენს:
 - ა) ბაზრისა და ბაზრობის მოწყობა წინამდებარე წესის დარღვევით;
 - ბ) წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში ბაზრის ან/და ბაზრობის მოყვანის თაობაზე თვითმმართველი ერთეულის მოთხოვნის შეუსრულებლობა;
 - გ) წინამდებარე წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევა.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც წესის შესაბამისად ითვლება გარე ვაჭრობად, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს წესის მოთხოვნებს, ითვლება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153^პ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.
2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინამდებარე წესის ძალაში შესვლამდე განთავსებული ბაზრები და ბაზრობები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს წინამდებარე წესის მოთხოვნებს (გარდა წესის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნისა), წინამდებარე წესის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი წესის ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაზრების და ბაზრობების განთავსება ჩაითვლება წინამდებარე წესის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დარღვევად.
3. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას:
 - ა) საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად შეიმუშავოს წინადადებები გარე ვაჭრობის საფასურის შემოღებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ;
 - ბ) კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში გაატაროს ღონისძიებები გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ წინამდებარე წესის მოთხოვნებს;
 - გ) განახორციელოს წინამდებარე წესის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია - საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნათა შესრულება გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის მიერ უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და დამტკიცება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენა და მას განხორციელების პროცედურების სამართლებრივი მოწესრიგება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე.

აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხდება დანართის სახით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დადგენა. აღნიშნული წესი რომელიც დანართის სახით არის წარმოდგენილი შედგება 14 მუხლისაგან, რომლებშიც სამართლებრივად დარეგულირებული/მოწესრიგებულია შემდეგი საკითხები, კერძოდ:

1. მუხლიში განსაზღვრულია წესის - რეგულირების სფერო;
2. მუხლში გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესის ამოცანები;
3. მუხლი აწესრიგებს წესში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებას;
4. მუხლის შესაბამისად ხდება გარე ვაჭრობის ადგილების განსაზღვრის წესი დადგენა;
5. მუხლის შესაბამისად თუ როგორ ხდება გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება;
6. მუხლის შესაბამისად კი ხდება გარე ვაჭრობის უფლების მოპოვება, როცა ფიზიკური

თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი ან შენობა-ნაგებობა უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივ სივრცეს და ნივთის რეალიზაციის/მომსახურების გაწევის მიზნით გამოყენებული ობიექტის განთავსება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება საზოგადოებრივ სივრცეში;

7. მუხლით მოწესრიგებულია გარე ვაჭრობისათვის განსაზღვრულ ადგილებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსების წესი;

8. მუხლით მოწესრიგებულია გარე ვაჭრობის უფლების საფასური და მისი განსაზღვრის წესი;

9. მუხლით დგინდება პასუხისმგებლობა გარე ვაჭრობის უფლების მქონე პირის მიერ გარე ვაჭრობის უფლების მიცემის აქტით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევისას;

10. მუხლით მოწესრიგებულია გარე ვაჭრობის უფლების გაუქმების საფუძველები;

11. მუხლით დგინდება ბაზრისა და ბაზრობისათვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის ძირითადი პირობები;

12. მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია საგამონაკლისო რეგულირების შემთხვევები;

13. მუხლის შესაბამისად დგინდება შემთხვევები, რომლებიც ჩაითვლება ამ წესის დარღვევად;

14. მუხლით განსაზღვრულია გარდამავალი დებულებები, რომელიც მოიცავს მომავალში მერიის მიერ მოსაწესრიგებელ საკითხებს.

გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნული მუხლებით განსაზღვრული საკითხების სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, შემოსავლის დამატებით მიღების მხრივ.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge) .

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული);

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2018 წლის -- მაისი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. შემოღებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტში:

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი და მისი ოდენობა განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს – 0,70 ლარით;

ბ) ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის და მისი ოდენობა განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე – 0.15 ლარით თვეში, ხოლო იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვროს თანახმად დანართი №3-ს შესაბამისად.

2. დამტკიცდეს:

ა) მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის გამონაგარიშებისა და გადახდის ინსტრუქცია, თანახმად დანართი №1-ისა;

ბ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია, თანახმად დანართი №2-ისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნა არ გავრცელდეს და მშენებლობის ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული და ქედის მუნიციპალიტეტის დაკვეთით ობიექტების მშენებლობა.

მუხლი 3.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 20 მარტის №39 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ №46 გვ.8, 23.03.2007, სარეგისტრაციო კოდი:210.020.010.35.134.001.096).

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

დანართი №1.

მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ და „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად. იგი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის (მიღების) და მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესს.

2. მშენებლობის ნებართვა არის განსაზღვრული ფორმის მქონე, ერთჯერადი დოკუმენტი, რომელიც უფლებას აძლევს მშენებლობის ობიექტის მესაკუთრე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს განახორციელოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალების შესაბამისად შედგენილი პროექტით განსაზღვრული ნაგებობის, მისი ელემენტების, კონსტრუქციული სისტემის ან მათი შემადგენელი კვანძების მშენებლობის, მონტაჟის ან სხვა სპეციალური სამუშაოები, ნებართვაში მითითებული თარიღიდან არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებაში მითითებულ ვადებში.

3. მშენებლობის ნებართვა ადასტურებს მისი მიღების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად ნებართვაში მითითებულ ვადებში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების უფლებას.

მუხლი 2. ნებართვის გაცემის (მიღების) ობიექტი

მშენებლობის ნებართვის გაცემის (მიღების) ობიექტები განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი და გადახდის წესი

1. მშენებლობის მოსაკრებლის განაკვეთი კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრება განაშენიანების ფართის ერთ კვადრატულ მეტრზე, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეადგენს ახლად ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართის 1 კვ.მ-ზე 0.70 (სამოცდაათ) თეთრის ოდენობით.

2. მოსაკრებლის გადახდა ხდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულებაში, წინასწარ განსაზღვრულ ანგარიშზე. მოსაკრებელი გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში. მოსაკრებლის გადახდა დასტურდება მოსაკრებლის გადახდის თაობაზე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული დადგენილი ფორმის ქვითრის წარდგენით.

მუხლი 4. მოსაკრებლის განგარიშების წესი

1. მოსაკრებელი გამოანგარიშება ობიექტის პროექტით განსაზღვრული განაშენიანების ფართის (კვადრატულ მეტრებში) გადამრავლებით მოსაკრებლის განაკვეთზე.

2. მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს.

მუხლი 5. მოსაკრებლისაგან განთავისუფლება

მოსაკრებლისაგან განთავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ობიექტთა აღდგენითი სამუშაოები.

მუხლი 6. მშენებლობის ნებართვის გამცემი

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ აქტსა და მშენებლობის სანებართვო მოწმობას ხელს აწერს ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 7. ნებართვის გამცემის პასუხისმგებლობა

მოსაკრებლის თანხების ბიუჯეტში სწორად და დროულად გადახდაზე და ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაციის სრულყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს.

მუხლი 8. ნებართვის მიმღებთა პასუხისმგებლობა

1. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ნებართვის მიმღებნი ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობითა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მოთხოვნები.

2. კანონმდებლობის დარღვევად ჩაითვლება:

ა) მშენებლობის დაწყება ნებართვის გარეშე;

ბ) მშენებლობის ნებართვაში მითითებულ თარიღზე ადრე სამუშაოების დაწყება.

3. ნებართვის პირობების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევს ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 9. ნებართვის დამადასტურებელი საბუთის რეკვიზიტები და ფორმა

1. სანებართვო მოწმობის სავალდებულო რეკვიზიტებია:

ა) შენობა-ნაგებობის ადგილმდებარეობის მისამართი ან/და ადგილმდებარეობის შეძლებისდაგვარად დაზუსტებული აღწერა მისამართის არარსებობის ან არასრულობის შემთხვევაში;

ბ) მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემები, საკადასტრო კოდი;

გ) მშენებლობის ნებართვის გაცემის თარიღი;

დ) მშენებლობის ნებართვის ნომერი;

ე) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა;

ვ) მშენებლობის ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი;

ზ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და გამოყენების მიზანი;

თ) მშენებლობის პროცესის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები;

ი) ნებართვის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

კ) შენობა-ნაგებობის კლასი;

ლ) შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;

მ) მშენებლობის ნებართვის გამცემი პირის თანამდებობა და ხელმოწერა.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი

1. ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, იგი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის წესსა და მოსაკრებლის გადამხდელთა უფლებამოვალეობებს.

2. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას.

3. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი (შემდგომში მოსაკრებელი) წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გაწეული მომსახურების საფასური.

4. ნარჩენების წარმომქმნელი ვალდებულია მოსაკრებელი გადაიხადოს დადგენილ ვადებში.

მუხლი 2. მოსაკრებლის გადამხდელი

მოსაკრებლის გადამხდელია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელი ყველა პირი.

2. ორგანიზებული ბაზრობების შემთხვევაში მოსაკრებლის გადამხდელია ორგანიზებული ბაზრობის მომწყობი პირი.

მუხლი 3. მოსაკრებლის განაკვეთი, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი

1. მოსაკრებლის განაკვეთი, როგორც წესი, წესდება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისათვის კალენდარული წლისათვის საჭირო ხარჯების შესაბამისად.

2. მოსაკრებლის ოდენობა გაიანგარიშება მოსახლეობისათვის სულადობის მიხედვით, ხოლო ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის – ნარჩენების დაგროვების ნორმის, ნარჩენების გატანის ღირებულებისა და შესაბამისი ზომის ერთეულის კომბინაციით, კერძოდ:

ა) მოსახლეობისათვის – ერთ სულ მოსახლეზე 0.15 ლარი თვეში;

ბ) იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის რაოდენობისათვის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$M = (N \times C \times K) : 12;$$

M- მოსაკრებლის განაკვეთი თვეში;

N – ნარჩენების დაგროვების ნორმატივი წელიწადში;

C – 1მ³ ნარჩენის გატანის ღირებულება, C =16.48 ლარი;

K – ზომის ერთეული (დაკავებული ფართი, მომხმარებელთა რაოდენობა, ადგილი, საწოლი, მოსწავლე).

3. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოსაკრებლის გადახდის შესახებ შეტყობინება გაიგზავნება იმ უძრავი ქონების მესაკუთრეზე (შემდეგში მესაკუთრე), რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები.

4. ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლე მოსაკრებელს იხდის მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

5. ამხანაგობის შემთხვევაში, ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობისას, შესაძლებელია მოსაკრებლის გადახდის შესახებ შეტყობინება გაიგზავნება ამხანაგობის სახელზე. ამ

შემთხვევაში ამხანაგობა წერილობით მიმართავს მოსაკრებლის გადახდევინებისათვის. პასუხისმგებელ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს და წარუდგენს ყველა მესაკუთრის თანხმობის დამადასტურებელ საბუთს.

6. მოსაკრებლის გადახდის შესახებ შეტყობინება ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის გაიგზავნება იმ ორგანიზაციის დაწესებულებისა და იურიდიული პირის სახელზე, რომლის საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

7. მოსაკრებელი შეიძლება გადახდილი იქნას შეტყობინებაში დაფიქსირებული ნებისმიერი გადამხდელის ან მისი წარმომდგენი სხვა პირის მიერ.

8. მესაკუთრე ფიზიკური პირი (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), რომლის საკუთრებაში წარმოიქმნება ნარჩენი ვალდებულია წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილების შესახებ 30 დღის განმავლობაში აცნობოს მოსაკრებლების გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს.

9. ნარჩენების წარმომქმნელი მაცხოვრებლის რაოდენობის შეცვლის შემთხვევაში მიმდინარე თვის მოსაკრებელი იფარება ცვლილების გაუთვალისწინებლად.

10. მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში ყოფილმა მესაკუთრემ მოსაკრებლის მიმდინარე დავალიანება უნდა დაფაროს იმ თვის ბოლომდე რომელშიც მოხდა საკუთრების გადაცემა.

11. თუ კი წინასწარ გადახდილი თანხა, რომელიც შეტანილი იყო მოსაკრებლის ახალი განაკვეთის ძალაში შესვლისას უფრო მცირეა, ვიდრე გადახდის დღის დადგომის შემდეგ, სხვაობა უნდა დაიფაროს განაკვეთის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში. თუ კი წინასწარ გადახდილი თანხა, რომელიც შეტანილი იყო ახალი განაკვეთის ძალაში შესვლამდე, აღემატება ახალ ამოქმედებულ განაკვეთს, სხვაობა ახალი განაკვეთის ამოქმედების შემდეგ უნდა გამოაკლდეს ახალი განაკვეთის თანხას.

მუხლი 4. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების წარმოქმნა, შეცვლა და მისგან გათავისუფლება.

1. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება მოსახლეობისათვის მომსახურების ერთი თვის განმავლობაში მიღების შემთხვევაში. ორგანიზაციების დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის – მომსახურების მიღებისთანავე.

2. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია ის მოსახლე, რომელიც ცხოვრობს სასტუმროს ტიპის საცხოვრებელში, იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი თვითონ სარგებლობს ოპერატორის მომსახურებით.

3. მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წყდება ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ ქედის მუნიციპალიტეტში ნარჩენების წარმოქმნის შეწყვეტის შემდეგ თვის დასრულებასთან ერთად.

4. არ დაერიცხება დასუფთავების მოსაკრებელი საწარმოო ობიექტებისა და ორგანიზაციების შენობა-ნაგებობების ფართს ან მათ ნაწილს, ღია ტერიტორიების ფართს ან მათ ნაწილს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ ფუნქციონირებს, გამოუყენებელია და არ წარმოიქმნება ნარჩენი. სპეციალიზირებულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სადაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს გრაფიკით, მოსწავლეთა ყოველდღიური რაოდენობა იანგარიშება საერთო სიობრივი რაოდენობიდან გრაფიკის მიხედვით საშუალო დასწრებაზე ყოველდღიურად.

5. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომსახურების ერთ თვეზე მეტი შეწყვეტის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელის მოთხოვნით გადასახდელი თანხა შესაძლებელია შემცირდეს ამ პერიოდში გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობით.

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული მომსახურების შეფერხების, შეზღუდვის, დაგვიანების, აგრეთვე მომსახურების ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში შეწყვეტის შემთხვევაში მოსაკრებლის გადამხდელს არ აქვს უფლება მოითხოვოს მოსაკრებლის განაკვეთის გადახდისაგან განთავისუფლება ან მისი განაკვეთის შემცირება.

7. მოსაკრებლის გადამხდელ ფიზიკურ პირს (მეწარმე ფიზიკური პირის გარდა) თითოეული მოსახლის ქედის მუნიციპალიტეტიდან ერთ თვეზე მეტი ვადით გასვლისას, უფლება აქვს მოითხოვოს მოსაკრებლის შესაბამისი ოდენობით შემცირება, რისთვისაც იგი წინასწარ წერილობით მიმართავს მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ

სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს. წერილობით მიმართვაში დაფიქსირებული უნდა იყოს მოსახლის მუნიციპალიტეტში არ ყოფნის ვადა. შესაბამისი სამსახურის ან/და საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირის მოთხოვნის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია წარმოადგინოს მუნიციპალიტეტში არყოფნის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტი (გაცემული ვიზა, ან სამგზავრო ბილეთი, ამხანაგობის ცნობა და ა.შ.).

8. სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო (50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები სარგებლობენ მოსაკრებლის გადახდის 50%-იანი შეღავათით.

9. მოსაკრებლის გადახდისაგან დროებით გათავისუფლებულია ქედის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა, რომელსაც არ მიეწოდება დასუფთავების სერვისი.

10. იმ მოსახლეობას, რომელიც დასუფთავების სერვისის მიუწოდებლობის გამო დროებით გათავისუფლდა მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან, მათ აღუდგება მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება სერვისის მიწოდებისთანავე.

მუხლი 5. მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვის წესი

მოსაკრებელი მთლიანად ჩარიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

მუხლი 6. მოსაკრებლის გადახდის პერიოდულობა და ვადები

1. მოსაკრებლის გადახდა წარმოებს შესაბამის ანგარიშზე ქვითრის ან ელექტონული ანგარიშსწორების საშუალებით.

2. ქვითრის ტიპურ ფორმას ამტკიცებს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ქვითრის სავალდებულო რეკვიზიტებია:

- ა) მოსაკრებლის გადამხდელი;
- ბ) მოსაკრებლის გადამხდელის მონაცემები;
- გ) გადასახდელი თანხა;
- დ) გადახდის ვადა;
- ე) გადახდის ადგილი.

3. მოსაკრებელი გადაიხდევინება თვეში ერთხელ, თვის ბოლო კალენდარული დღის მეორე დღიდან 25 დღის განმავლობაში.

4. გადამხდელს შეუძლია მოსაკრებელი გადაიხადოს წინასწარ.

მუხლი 7. მოსაკრებლის გადამხდელთა უფლებები და მოვალეობები

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე, ასევე მოქმედი ინდივიდუალური მეწარმე, იურიდიული პირი, ორგანიზაცია და დაწესებულება ვალდებულია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურში ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან დარეგისტრირდეს მოსაკრებლის გადამხდელად. წინამდებარე წესის ამოქმედების დღიდან აღნიშნული პირები ავტომატურად ითვლებიან მომსახურების მიმღებებად.

2. ქედის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა), ვალდებულია რეგისტრაცია გაუკეთოს მის საკუთრებაზე მცხოვრები პირების რაოდენობასა და რაოდენობის ცვლილებას. ასევე მესაკუთრე ფიზიკური პირი რომლის საკუთრებაშიც წარმოიქმნება ნარჩენი ვალდებულია წარმომქმნელთა რაოდენობის ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ ან/და არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა აცნობოს სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს, რომელიც გავლენას მოახდენს გადასახდელი მოსაკრებლის გაანგარიშებაზე. აბონენტი ვალდებულია წარმოადგინოს ცვლილების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტი. (ცნობა სასწავლებლიდან, გარდაცვალების, დაბადების ან ქორწინების მოწმობა, სულადობის ცვლილების შესახებ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა, ან მინიმუმ სამი მეზობლის მიერ ხელწერით დადასტურებული განაცხადი და ა.შ.).

3. საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრეები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები, ასევე ნარჩენების წარმომქმნელი და/ან

მფლობელი პირები ვალდებული არიან სამსახურის ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირის მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უმეტეს 10 კალენდარული დღისა, გასცენ ნარჩენების გატანისათვის საჭირო ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს სამსახურის ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირის მიერ ამ მომსახურების მიწოდების ხარისხზე და მოცულობაზე.

4. დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან დადგენილი წესით რეგისტრაციიდან ან შექმნის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის დღიდან (აგრეთვე რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, საქმიანობის პროფილის, მისამართის, ადგილმდებარეობის და ნებისმიერი სახის ცვლილების შემთხვევაში) არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, აღნიშნულის თაობაზე აცნობონ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს.

5. დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირებისათვის დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან წარმოადგინონ კონკრეტულ მისამართზე (ფართზე) მათი ფუნქციონირების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტები. მიუხედავად შეტყობინების განხორციელების დღისა, დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან მოსაკრებელი გადაიხადონ მომსახურების მიღების მთელ პერიოდზე.

6. დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირებული მომხმარებლების მიერ, ფაქტობრივად დაკავებულ ფართში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილების შემთხვევაში (რამაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს ან/და საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირის მიერ ამ მომსახურების მიწოდების ხარისხზე და მოცულობაზე), მათზე დარიცხულ მოსაკრებელში ცვლილების (კორექტირების) შეტანის მიზნით, დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, აღნიშნულის თაობაზე აცნობონ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს და წარმოადგინონ მათ მიერ დაკავებულ ფართში ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტები; მიუხედავად შეტყობინების განხორციელების დღისა, დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან მოსაკრებელი გადაიხადონ გაზრდილი მომსახურების მიღების მთელ პერიოდზე.

7. დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები ვალდებული არიან საქმიანობის შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, აღნიშნულის თაობაზე აცნობონ სამსახურს ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს და წარმოადგინონ კონკრეტულ მისამართზე (ფართში) საქმიანობის შეწყვეტის უტყუარი დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტი საგადასახადო ან სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები). საქმიანობის შეწყვეტის უტყუარი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის შეწყვეტა განხორციელდება სამსახურის ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირისადმი შეტყობინების განხორციელების დღიდან ან შესაბამისად უფლებამოსილი პირების მიერ ინსპექტირების შედეგად, ობიექტის ფუნქციონირების შეწყვეტის ფაქტის დადასტურების საფუძველზე შედგენილი შემოწმების აქტის თარიღიდან.

8. ორგანიზებული ბაზრობის მომწყობი პირი ვალდებულია წარუდგინოს შესაბამის სამსახურს ან/და საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს ინფორმაცია ბაზრობაზე არსებული სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტების საქმიანობის სფეროს და დაკავებული ფართობის შესახებ.

9. წინამდებარე წესების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით უფლებამოსილ პირს/პირებს დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში უფლება აქვს შეუფერხებლად შევიდეს ნარჩენების მართვის მომსახურების მიმღები პირების ტერიტორიაზე.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა მოსაკრებლის გადახდევინებისათვის

1. მოსაკრებლების გადახდევინებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს ან/და შესაბამის საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირს ქედის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიისს მიერ მოსაკრებლის ამოსაღებად იურიდიულ პირებთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში მოსაკრებელი გადაიხდება მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად.

გამოანგარიშების ცხრილი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის

№	საკმიანობის სფერო	ზომის ერთეული (K)	ნარჩენების წლიური დაგროვების ნორმა მ ³ (N)	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში ზომის ერთეულზე (ლარი) (M)
1	2	3	4	5
1	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.04	0.05
2	ოფისები, სააგენტოები, პროფესიული და სახელმწიფო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.200	0.27
3	ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.600	0.82
4	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0.400	0.55
5	სკოლები, ინსტიტუტები, კოლეჯები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საგანმანათლებლო დაწესებულებები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი სული	0.07	0.10
6	სასტუმროები (ინფრასტრუქტურის ფართზე შიდა მომსახურებისათვის მოსაკრებელი არ დაირიცხება)	მომსახურების ერთეული (ერთი საწოლი)	2.000	2.75
7	საავადმყოფოები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი საწოლი	0.309	0.42
8	პოლიკლინიკები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები, ექიმებისა და სტომატოლოგიური კაბინეტები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	საერთო ფართის 1 მ ²	0.14	0.19
9	სტადიონები, სპორტულ გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ღია	ღია ფართის 1 მ ²	0.020	0.027

	ტერიტორიები და მანუქები (სატურნირო და სავარჯიშო მოედნების გარდა)	დახურული ფართის 1 მ ²	0.1	0.14
10	სასურსათო საქონლის მაღაზიები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.15	0.21
		საერთო ფართის 1 მ ²	0.1	0.14
11	სამრეწველო საქონლის მაღაზიები და ავთიაქები (სავაჭრო დარბაზი)	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.320	0.44
12	აგრარული ბაზრები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.18	0.25
13	შერეული საქონლის ბაზრობები	ერთი ადგილი	0.17	0.23
14	ავტოსადგომები	ღია ფართის 1 მ ²	0.020	0.027
		დახურული ფართის 1 მ ²	0.160	0.22
15	საწყობები პირდაპირი მიყიდვის გარეშე (გარდა საცავებისა პროდუქციის ხანგრძლივი შენახვის დროით)	ღია ფართის 1 მ ²	0.020	0.027
16	ავტოგასამართი სადგურები	საერთო ფართის 1 მ ²	0.12	0.16
17	მანქანის საჩვენებელი და გასაყიდი ნაგებობები	ღია საერთო ფართის 1 მ ²	0.080	0.11
		დახურული საერთო ფართის 1 მ ²	0.160	0.22
18	ა/მანქანების სარემონტო სადგურები, ტექ. მომსახურების ადგილები	ღია საერთო ფართის 1 მ ²	0.040	0.05
		დახურული საერთო ფართის 1 მ ²	0.160	0.22
19	აბანოები, საუნები	საერთო ფართის 1 მ ²	0.320	0.44
20	სადალაქოები და სილამაზის სალონები	საერთო ფართის 1 მ ²	0.200	0.27
21	მცირე სამეწარმეო საქმიანობა შენობის შიგნით მიმდინარე წარმოებისას, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.18	0.25
22	რესტორნები, პიცერიები, სასადილოები, კაფეები და ბარები	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0.40	0.55
23	საბანკეტო დარბაზები, სარიტუალო მომსახურებისათვის	ერთ დასაჯდომ ადგილზე	0.04	0.05
24	საცხოვრები	საერთო ფართის 1 მ ²	0.18	0.25
25	კაზინოები, ტოტალიზატორები, სათამაშო და გასართობი	საერთო ფართის 1 მ ²	1.00	1.37

	ცენტრები			
26	ღია ტიპის დასვენებისა და გასართობი თავშეყრის ადგილები, სკვერები, ბალები, ატრაქციონები	საერთო ფართის 1 მ ²	0.020	0.027
27	სამხედრო ნაწილები და პენეტენციალური სისტემები (ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაერიცხება)	ერთი ადგილი	0.600	0.82
28	სერიული პროდუქციის საწარმოების შენობა-ნაგებობები (საწარმოო ნარჩენების გარდა)	სამუშაო ფართის 1 მ ²	0.25	0.34
29	შერეული საქონლის მალაზიები	საერთო ფართის 1 მ ²	0.17	0.23

მოსაკრებლის რაოდენობა თვეში (M) გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$M = N \times C \times K : 12$$

N – ნაჩენების დაგროვების ნორმატივი წელიწადში

C – მოსაკრებელი 1 კმ ნარჩენის გატანაზე, C= 16,48 (ლარი)

K – ზომის ერთეული (დაკავებული ფართი, მომხმარებელთა რაოდენობა)

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების შემუშავება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება, მათი განაკვეთის განსაზღვრის წესების დადგენა და მას განხორციელების პროცედურების სამართლებრივი მოწესრიგება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივითვი თმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხდება შემოღება ქედის მუნიციპალიტეტში:

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რაღაცეის ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლის და მისი ოდენობა განაშენიანების ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს – 0,70 ლარით;

ბ) ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის და მისი ოდენობა განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე – 0.15 ლარით თვეში, ხოლო იურიდიული პირების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მოსაკრებლის ყოველთვიური ოდენობა განისაზღვროს თანახმად დანართი №3-ს შესაბამისად.

ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტით ხდება მოსაკრებლის გამომანგარიშებისა და გადახდის ინსტრუქციების დამტკიცება კერძოდ:

2. დამტკიცდეს:

ა) მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის გამომანგარიშებისა და გადახდის ინსტრუქცია, თანახმად დანართი №1-ისა;

ბ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია, თანახმად დანართი №2-ისა.

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლი აწესრიგებს სანებართვო მოსაკრებლის გადახდისგან გათავისუფლების გამონაკლის შემთხვევებს, შემდეგი სახით:

„ამ დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნა არ გავრცელდეს და მშენებლობის ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლის გადახდისგან განთავისუფლდეს სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული და ქედის მუნიციპალიტეტის დაკვეთით ობიექტების მშენებლობა.“

გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის (მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრა და მისი გადახდის წესი) სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge) .

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული);.

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის №4 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016123, 07/04/2014).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს; (რადგან დაბა ქედში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 80-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	80	7.30

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.19 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.82 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 18 ივნისის №407 ბრძანებულებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.65 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულების საფუძველზე მიღებულ სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანა და მისი ჩამოყალიბება ახალი რედაქციით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - ზონირების მიხედვით და განისაზღვროს მისი გამოანგარიშების წესები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენა გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში, კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს; (რადგან დაბა ქედში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 80-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	80	7.30

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.19 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.82 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საქართველოს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 18 ივნისის №407 ბრძანებულებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.65 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

ასევე, წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად ხდება ძალადაკარგულად გამოცხადება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის №4 დადგენილების (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016123, 07/04/2014). ხოლო, მესამე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ძალაში შესვლის საკითხი.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე –ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge) .

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №--

2018 წლის -- მაისი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს

მუხლი 1

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს თვითმმართველ თემი - ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს.

2. წინამდებარე წესი არეგულირებს ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს იმ შემთხვევაშიც, როცა მიწის ნაკვეთი განკუთვნილი არ არის მხოლოდ პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, არამედ პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა და ავტომანქანების პარკირება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე უკვე მიმდინარე ძირითადი საქმიანობის დამატებით საქმიანობას და პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა ემსახურება ძირითადი საქმიანობის უკეთ განხორციელებას. (მაგ.: სასტუმროების მიერ საკუთარი ტაქსების ქონა, რომლებიც მოემსახურება თუნდაც მხოლოდ ამავე სასტუმროში დაბინავებულ პირს).

3. წინამდებარე წესი არეგულირებს ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე თვითმმართველი თემი – ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა ტერიტორიებზე პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის წესებს.

4. წინამდებარე წესი არ არეგულირებს:

ა) ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ავტოსადგურების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების სხვა პირისათვის გადაცემის საკითხებს;

დ) ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურებში (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები) ავტომანქანების პარკირების წესებს;

ე) იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზე, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის, მათ შორის მიწის სამუშაოებისათვის (ყველა სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა), თუ სატრანსპორტო საშუალების პარკირება ხდება სამშენებლო მოედანზე ან/და ასეთი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან/და მფლობელი მომსახურების გაწევისა და სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით არ ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

მუხლი 2. ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია:

ა) ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანების პარკირების ორგანიზებულობის უზრუნველყოფა;

ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

ე) პარკირების სფეროს განვითარება;

ვ) ავტომანქანის პარკირებისას ან/და მოძრაობისას დაბრკოლებების გამორიცხვა;

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტომანქანა – ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) სატრანსპორტო საშუალება – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაცია, თუ მისი წამყვანი წინამდებარე წესის შესაბამისად არ წარმოადგენს ქვეითს;

გ) ტაქსი – შესაბამისი საცნობარო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც გამოიყენება გზაზე მგზავრთა არაერთჯერადად გადაყვანისათვის, მაგრამ აღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს რეგულარულ გადაყვანას.

დ) პარკირება – ავტომანქანის მოძრაობის გამოზულად შეწყვეტა (დგომა), თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომას ან ავტომანქანის დატვირთვა-გადმოტვირთვას;

ე) პარკირების ადგილები – ავტომანქანების დგომისათვის განკუთვნილი ადგილები;

ვ) პარკირების საერთო ადგილები – პარკირების ადგილები, სადაც პარკირების უფლება აქვს ყველა იმ ავტომანქანას, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებული არ არის პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ან ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს პარკირების

საერთო ადგილები, ზოგადად აკრძალული არ არის კონკრეტული სახეობის ავტომანქანის შესვლა, მოძრაობა, დგომა ან გაჩერება;

ზ) პარკირების სპეციალური ადგილები – პარკირების ადგილები, რომლებიც წინამდებარე წესის შესაბამისად განისაზღვრება მომსახურების სფეროს ან/და სხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფებული ავტომანქანების პარკირებისათვის;

თ) საზოგადოებრივი სივრცე – განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, სკვერი, პარკი, ბაღი, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები, რომლებიც ავტომანქანის მოძრაობისას ხელმისაწვდომია ადამიანებისათვის;

ი) გზა – საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის მოწყობილი მიწის ზოლი ან ხელოვნური ნაგებობის ზედაპირი, რომელიც არსებობისას მოიცავს ავტომანქანების მოძრაობისათვის განკუთვნილ ერთ ან რამდენიმე სავალ ნაწილს (ქუჩას), ტროტუარებს, გვერდულებს და გამყოფ ზოლებს;

კ) ქუჩა – გზის ელემენტი, განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში გადაადგილებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი სივრცის ავტომანქანების მოძრაობისათვის განკუთვნილი ნაწილი;

ლ) ტროტუარი – გზის ელემენტი, რომელიც მიერთებულია სავალ ნაწილთან ან გამოყოფილია მისგან გაზონით და განკუთვნილია ქვეითის მოძრაობისათვის;

მ) საგზაო მოძრაობა – გზაზე ადამიანისა და ტვირთის ავტომანქანით ან მის გარეშე გადაადგილებისათვის არსებული ურთიერთობები;

ნ) საგზაო მოძრაობის მონაწილე – პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მოძრაობის პროცესში, როგორც მძღოლი, მგზავრი ან ქვეითი;

ო) ქვეითი – პირი, რომელიც გზაზეა, მაგრამ არ იმყოფება სატრანსპორტო საშუალებაში, ან არ ასრულებს რაიმე საგზაო სამუშაოს. ქვეითად ითვლება ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ეტლით ძრავის გარეშე, ასევე ველოსიპედის, მოპედის, მოტოციკლის, საჭაპანე ოთხთვალის (მარხილის) ურიკის, საბავშვო ან ინვალიდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ეტლის წამყვანი;

პ) ავტოსაგზაო შემთხვევა – გზაზე ავტომანქანის მოძრაობისას ან/და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაზიანდა ავტომანქანა;

ჟ) სამშენებლო მოედანი – მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მისი მომსახურებისათვის.

რ) პარკირების ორგანიზება – ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ან მესამე პირის მიერ წინამდებარე წესის შესაბამისად ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელების უფლება;

ს) პარკირების ორგანიზების უფლება – ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ან მესამე პირის მიერ წინამდებარე წესის შესაბამისად ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება;

ტ) მესამე პირი – ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტი, რომელსაც წინამდებარე წესის შესაბამისად გადაცემული (მინიჭებული) აქვს პარკირების ორგანიზების უფლება;

მუხლი 4. საერთო მოთხოვნები ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრის მიმართ

1. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ავტომანქანების ყველა სახეობის პარკირების ადგილების მიმართ, თუ ამავე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პარკირებისათვის განსაზღვრული ადგილები სახანძრო ჰიდრანტის, საკანალიზაციო და სანიაღვრე ჭების, ნარჩენების შემკრები კონტეინერების განთავსების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ ორი მეტრით, ხოლო გზაჯვარედინებზე ქუჩების გადაკვეთის დაწყების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 3-4 მეტრით.

3. აკრძალულია პარკირებისათვის გამოყენებულ იქნეს:

ა) ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილია ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელებისათვის;

ბ) ავტობუსების, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის და მათი სვლაგეზის მიმართულებით მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისათვის (ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის) განკუთვნილი ადგილები;

გ) ქუჩა მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელზეც შესვლა ან მოძრაობა აკრძალულია.

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში პარკირების ადგილების განსაზღვრისას, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) მუნიციპალიტეტის განვითარების ინტერესები;

ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;

გ) სატრანსპორტო ნაკადი;

დ) ქუჩების გამტარუნარიანობა;

ე) საგზაო მოძრაობის წესები;

ვ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;

ზ) საქალაქო და მუნიციპალიტეტებს შორის სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამარშრუტო სქემა;

თ) ეკოლოგიური მდგომარეობა;

ი) საზოგადოების სხვა ინტერესები.

5. პარკირების სპეციალურ ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანების პარკირება, რისთვისაც განკუთვნილია პარკირების აღნიშნული ადგილები, თუ ამავე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან სხვა პირს, რომელიც მართავს შესაბამისი საცნობი ნიშნის მატარებელ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, პარკირების უფლება აქვს სპეციალური პარკირების ადგილებზე, თუ უახლოესი 100 მეტრის რადიუსში არ არის განსაზღვრული პარკირების საერთო ადგილები და ავტომანქანის პარკირება გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩასხდომისათვის ან გადმოსხდომისათვის.

7. ადგილები, სადაც პარკირება ფასიანია ან აკრძალულია, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგზაო ნიშნებით ან/და შესაბამისი საგზაო მონიშვნით.

8. ფასიანი პარკირების ადგილები, შესაბამისი საგზაო ნიშნების ან/და საგზაო მონიშვნის გარდა აღჭურვილი უნდა იყოს პარკირების პირობების ამსახველი საინფორმაციო დაფით და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოწყობილობებითა და საშუალებებით.

9. პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირების შემთხვევაში, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით .

10. იკრძალება და პარკირების წესების დარღვევად ჩაითვლება პარკირების საერთო ადგილების გამოყენება გარე ვაჭრობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების, სხვა მომსახურების და ნებისმიერი სახით რეკლამის გავრცელებისათვის.

11. ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, მათ შორის ტროტუარზე ავტომანქანის პარკირებისას, სადაც განთავსებული არ არის პარკირების საცნობარო ნიშანი ან/და მონიშვნის ნიშანი, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ავტომანქანის ქუჩის იმ ადგილებზე პარკირებისას, სადაც დგომა ან გაჩერება აკრძალულია, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ქუჩებში განსაზღვრული პარკირების ადგილები მონიშვნის ხაზით გამიჯნული უნდა იყოს ტერიტორიის სხვა ნაწილისაგან.

14. აკრძალულია პარკირების ადგილზე ავტომანქანის პარკირება მონიშვნის ხაზის დარღვევით – მონიშვნის ხაზს გარეთ.

15. სავალდებულოა პარკირების საერთო ადგილებზე რამდენიმე ადგილი გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი ადგილები აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საცნობარო ნიშნით.

16. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის განკუთვნილ ადგილზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანის პარკირება, რომელსაც აქვს შესაბამისი საცნობი ნიშანი.

17. იმ ავტომანქანების, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული ავტომანქანების

პარკირებისათვის, პარკირება დასაშვებია, თუ ავტომანქანის მფლობელის მიერ პარკირების დაწყებისა და დასრულების დროს არ ხდება მესამე პირისათვის მომსახურების გაწევა და თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტომანქანის დგომა ან გაჩერება.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტის მიზნებისათვის, ავტომანქანის მფლობელი ვალდებულია ავტომანქანაზე განთავსებული არ ჰქონდეს ის საცნობარო ნიშანი, რომლის ავტომანქანაზე განთავსებაც სავალდებულოა იმ მომსახურების გაწევის დროს, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში ავტომანქანის პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

19. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა არ ზღუდავს ან/და არ კრძალავს, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, გამოყენებულ იქნეს კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიადვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქციარეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის. თუ აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ადგილებს მოიცავს მესამე პირისათვის გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, ასეთი გადაწყვეტილება შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

20. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა უფლებამოსილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და არ უკრძალავს მიიღოს გადაწყვეტილება, ადგილი, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აღარ განსაზღვროს პარკირების ადგილად. ასეთი გადაწყვეტილება, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის შემთხვევაში, შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-10 მუხლის ნორმები.

მუხლი 5. პარკირების სახეობები

1. წინამდებარე წესის მიზნებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ადგილები იყოფა ორ ძირითად სახეობად – პარკირების საერთო ადგილები და პარკირების სპეციალური ადგილები.

2. პარკირების სპეციალური ადგილები თავის მხრივ იყოფა შემდეგ ქვესახეობებად:

ა) ტაქსების პარკირების ადგილები;

ბ) იმ ავტომანქანების პარკირების ადგილები, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში.

3. წინამდებარე წესის მიზნებისათვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომანქანების პარკირების მომწესრიგებელი ნორმები ვრცელდება ასევე ყველა იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზეც, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის, მათ შორის, მიწის სამუშაოებისათვის (ყველა

სახის ტრაქტორი და თვითმავალი მანქანა), თუ ასეთი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი მომსახურების გაწევისა და სახელმეკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

4. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განსაზღვროს პარკირების სპეციალური ადგილების სხვა ქვესახეობები. პარკირების სპეციალური ადგილების ქვესახეობის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განისაზღვროს პარკირების აღნიშნული ადგილებით სარგებლობის წესებიც.

მუხლი 6. პარკირების ორგანიზება

1. პარკირების ორგანიზებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია ან მესამე პირი წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. მერიის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის, პარკირების საერთო ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დადგენას (მართობული დგომა, 90-გრადუსიანი დგომა ან/და 45-გრადუსიანი დგომა);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას;

გ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე ცალკეული ავტომანქანის პარკირებისათვის გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

დ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის განსაზღვრას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას, თუ პარკირების საფასურის ამოღებას ახდენს ქედის მუნიციპალიტეტის მერია;

ე) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასურის განსაზღვრას და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად წარდგენას;

ვ) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის დაწესებული საფასურის ამოღებას, თუ აღნიშნულ ადგილებში პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემული არ აქვს მესამე პირს;

ზ) პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულებების, ასევე მათში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების მომზადებას და აღმასრულებელი ორგანოსადმი ხელმოსაწერად წარდგენას;

თ) კონტროლის განხორციელებას ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელმეკრულებო პირობების განხორციელებაზე, ამ მიზნით ხელშეკრულების მხარისათვის ხელშეკრულებიდან (ოქმიდან) გამომდინარე გაფრთხილებებისა და სხვა შეტყობინებების გაგზავნას, ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების მიზნით ხელშეკრულების მხარისათვის დამატებითი ვადების დაწესებას, ხელშეკრულების მხარის მიერ სააუქციონო და სახელმეკრულებო პირობების დარღვევისას პირგასამტეხლოს დაკისრების ან/და დადგენილი წესით მისგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, მუნი-

ციპალიტეტის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საკითხის განხილვას და აღმასრულებელი ორგანოსადმი ხელმოსაწერად შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის წარდგენას, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას;

ი) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, თუ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ხდება საფასურის დაწესება, პარკირების საერთო ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების საერთო ადგილების შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

კ) მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების სპეციალური ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, პარკირების სპეციალური ადგილების მოწყობის ესკიზური პროექტის შეთანხმებას, პარკირების სპეციალური ადგილების შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობისათვის ვადების განსაზღვრას;

ლ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

მ) პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლიანი ფორმით აუქციონის წესით განკარგვაზე გადაწყვეტილების მიღებას, სააუქციონო პირობების შემუშავებას და შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის აღმასრულებელი ორგანოსადმი წარდგენას;

ნ) პარკირების ორგანიზების უფლების წინამდებარე წესით გათვალისწინებული პირობებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, რაც გაიცემა წერილის სახით;

ო) პარკირების ადგილების შესაბამისი საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას, პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას, თუ არ ხდება პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემა;

პ) საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

3. პარკირების ადგილების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილების მიმართ, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ვ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

4. პარკირების ადგილების სასყიდლით გადაცემისას, პარკირების ადგილების მიმართ, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესებას და საფასურის ოდენობის განსაზღვრას;

ვ) პარკირების ორგანიზების უფლების მინიჭების აქტით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ზ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

5. ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას;

ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;

გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;

დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დაწესებას და საფასურის ოდენობის განსაზღვრას;

ვ) პარკირების ადგილების მოწყობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის წერილით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ზ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.

6. ქედის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია პარკირების ორგანიზება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით.

მუხლი 7. პარკირების საფასური, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის საფასური და მათი განსაზღვრის წესი

1. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილებით ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილით სარგებლობისათვის შეიძლება დაწესდეს საფასური, თუ პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემული არ არის მესამე პირზე წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასურის შემოღების ან/და გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს და პარკირების ადგილებით სარგებლობის საფასურის ოდენობას განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პარკირების საფასურის ამოღებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია უშუალოდ ან მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა პირის მომსახურების გამოყენებით.

4. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური შეიძლება იყოს დიფერენცირებული.

5. წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილის ორგანიზების უფლება ექვემდებარება ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტისათვის გადაცემას სასყიდლით ან უსასყიდლოდ.

6. პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, გადაცემის საფასურის წლიური მინიმალური ოდენობის განსაზღვრის მიზნით დგინდება პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

8. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება პარკირების ადგილებისათვის განსაზღვრული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის ან/და პარკირების საფასურის ამოღების შედეგად მიღებული თანხის (მიღებული მთლიანი თანხის ან მოგების) პროცენტული ოდენობის განსაზღვრით.

9. პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, გადაცემის საფასურის წლიური ოდენობა არ შეიძლება იყოს პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიულ საფასურზე ნაკლები.

10. თუ პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ან/და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნორმატიულ ოდენობაზე ნაკლები.

11. ამ მუხლის შესაბამისად პარკირების საფასური შეიძლება დაწესდეს პარკირების ადგილზე ავტომანქანის ერთეული დგომისათვის ან/და დაწესდეს პარკირების წლიური საფასური.

12. პარკირების საფასური გადახდილი უნდა იქნეს პარკირების დაწყებისთანავე, წინააღმდეგ შემთხვევაში ითვლება, რომ პარკირება მოხდა საფასურის გადახდის გარეშე, რასაც უკავშირდება კანონმდებლობით გათვალისწინებული შედეგები.

მუხლი 8. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა

1 წინამდებარე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის (ქვესახეობის) პარკირების ყველა ან ზოგიერთი ადგილის ორგანიზების უფლება ექვემდებარება ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტისათვის გადაცემას.

2. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა შეიძლება მოხდეს პირდაპირი განკარგვის ან აუქციონის წესით; ხოლო პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი განკარგვის წესით შეიძლება გაიცეს როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ.

3. პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი წესით, უსასყიდლოდ გადაეცემათ:

ა) სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ქედის მუნიციპალიტეტი, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

გ) სახელმწიფოს ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

დ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

4. პარკირების ორგანიზების უფლება სასყიდლით პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცემათ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ან/და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ქედის მუნიციპალიტეტი;

ბ) სახელმწიფოს ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო ან/და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;

გ) ნებისმიერ მეწარმე სუბიექტს (ინდივიდუალური მეწარმე და კერძო სამართლის იურიდიული პირი) მათ საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული იმ შენობა-

ნაგებობების უშუალოდ მომიჯნავე ტერიტორიაზე, რომლებშიც აღნიშნული პირები ახორციელებენ თავიანთ ძირითად საქმიანობას;

5. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია, რაც გაიცემა წერილობით, თანხმობის სახით.

6. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის მოთხოვნასთან ერთად ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პირები ქედის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენენ პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესებს (მართებული დგომა, 45-გრადუსიანი დგომა, 90-გრადუსიანი დგომა), თუ პარკირების ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, უკვე დადგენილი არ არის აღნიშნული წესები ან/და მიზანშეწონილია ავტომანქანების დგომის უკვე დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესების დადგენა.

7. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან პარკირებისათვის გადაცემული ადგილების, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობა განახორციელონ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანხმობის წერილით დაწესებულ ვადაში.

8. დაუშვებელია უსასყიდლოდ გადაცემულ იქნეს პარკირების სპეციალური ადგილების ორგანიზების უფლება.

9. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია რაიმე სახის საფასურის დაწესება.

10. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, დააწესონ საფასური, ან/და პარკირების ადგილები გამოიყენონ მხოლოდ სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობისათვის ან დააწესონ მისით სარგებლობის სხვა შეზღუდვები და აკრძალვები.

11. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემისას, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია გამოყენებულ იქნეს პარკირების სპეციალურ ადგილებად.

მუხლი 9. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემა

1. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

2. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემა შეიძლება მოიცავდეს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით მხოლოდ ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებულ პარკირების ადგილებს, ან/და ერთ ლოტში გაერთიანებით პარკირების ადგილებს, რომლებიც სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით ერთმანეთთან უწყვეტად

არ არიან დაკავშირებული, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. მხოლოდ პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრის მიზნით, პარკირების ორგანიზების უფლება აუქციონის წესით შეიძლება გაიცეს იმდაგვარად, რომ პარკირების ორგანიზების უფლება არ მოიცავდეს სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით მხოლოდ ერთმანეთთან უწყვეტად დაკავშირებულ პარკირების ადგილებს, ან/და ერთ ლოტში გაერთიანებით პარკირების კონკრეტულ ადგილებს, არამედ პირს უფლება ექნება პარკირების ორგანიზების უფლება განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.

4. აკრძალულია პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ერთ ლოტში გაერთიანდეს პარკირების სხვადასხვა სახეობას ან/და პარკირების ერთი სახეობის სხვადასხვა ქვესახეობას მიკუთვნებული პარკირების ადგილები.

5. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე პარკირების საერთო ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, დადგენილი უნდა იყოს ავტომანქანის დგომის წესები (მართობული დგომა, 45- გრადუსიანი დგომა, 90- გრადუსიანი დგომა), გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისა.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას, პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა და აღნიშნულ ადგილებზე ავტომანქანის დგომის წესები (მართობული დგომა, 45- გრადუსიანი დგომა, 90- გრადუსიანი დგომა) დგინდება პირის, რომელსაც გადაეცა პარკირების ორგანიზების უფლება, ქედის მუნიციპალიტეტის მერიისადმი წარდგენილი წინადადებების საფუძველზე. აღნიშნულის შესაბამისად პარკირების ადგილების განსაზღვრა ხდება ერთდროულად ან ეტაპობრივად, შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

7. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, წინამდებარე წესის შესაბამისად დადგენილი უნდა იყოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტომანქანა აღნიშნულ ადგილზე პარკირებისათვის.

8. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემამდე, თუ პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, საჭიროებს კეთილმოწყობას, საცნობარო ნიშნებით აღჭურვას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, ისინი უნდა მიეთითოს სააუქციონო პირობებად.

9. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს სხვა სააუქციონო პირობებიც, მათ შორის პარკირების საფასურის გადახდის წესების დადგენა, პარკირების ადგილზე ავტომანქანის ერთეული დგომისათვის პარკირების საფასურის მაქსიმუმის განსაზღვრა ან/და პარკირების წლიური საფასურის მაქსიმუმის განსაზღვრა.

10. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე აუქციონის ჩატარების მიმართ გამოიყენება კანონმდებლობით ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში განკარგვის მიმართ დადგენილი წესები.

მუხლი 10. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის და აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე გარიგებათა გაფორმება და მათი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტა

1. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით და აუქციონის წესით გადაცემისას მხარეებს შორის ფორმდება პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება.

2. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემისას ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

3. პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემისას ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმი (სააუქციონო ვაჭრობის ოქმი), ხოლო არსებობისას, საჯარო ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ ოქმის (სააუქციონო ვაჭრობის ოქმის) დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება წერილობითია, მაგრამ იგი არ საჭიროებს სანოტარო ან/და სხვა წესით დადასტურებას (დამოწმებას), რაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია უძრავ ნივთებთან დაკავშირებით დადებული გარიგებების ფორმის მიმართ.

5. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა უფლება-მოვალეობებს და სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისას პირგასამტეხლოს ოდენობას.

6. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობები და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი სააუქციონო პირობები წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით.

7. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველია:

ა) გაფრთხილების მიუხედავად დაწესებულ ვადაში სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის, გაფრთხილების მიუხედავად სახელშეკრულებო პირობების განმეორებით დარღვევა;

- ბ) დაკისრებული პირგასამტეხლოს დაწესებულ ვადაში გადაუხდელობა;
- გ) გაფრთხილების მიუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;
- დ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადგილს, რომელსაც მოიცავს გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, აღარ განსაზღვრავს პარკირების ადგილად;
- ე) ადგილი, რომელსაც მოიცავს გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, საჭიროა კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხების, წყლის, კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის;
- ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით ხელშეკრულების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს არ დაუბრუნდება უკვე გადახდილი საფასური და არ წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით ხელშეკრულების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს უფლება აქვს წაიღოს პარკირების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები.

10. ამ მუხლის მე-7 პუნქტით, გარდა „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, ხელშეკრულების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში პარკირების ორგანიზების უფლების მქონე პირს უფლება არ აქვს წაიღოს პარკირების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთები. ამასთან, მას არ აუნაზღაურდება პარკირების ადგილზე მის მიერ განთავსებული ნივთების ღირებულება, თუნდაც აღნიშნული არ იყოს გათვალისწინებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

11. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემისას და აუქციონის წესით გადაცემისას გარიგების გაფორმებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

მუხლი 11. პარკირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება

1. პარკირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხები წესრიგდება პარკირების დაწესების თაობაზე ან/და პარკირების საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე სამართლებრივი აქტით.

2. პარკირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება ვრცელდება მესამე პირის მიერ პარკირების ორგანიზების უფლების განხორციელების დროსაც, გარდა წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 12. პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე

1. პარკირების საერთო ადგილებისათვის ძირითადად განისაზღვრება ქუჩები და სხვა საზოგადოებრივი სივრცეები, თუ წინამდებარე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პარკირების საერთო ადგილებად დასაშვებია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქუჩის განსაზღვრა, თუ რომელიმე ქუჩაზე ან ქუჩის რომელიმე მონაკვეთში განთავსებული არ არის „დგომა აკრძალულია“, „გაჩერება აკრძალულია“ ან „შესვლა აკრძალულია“ საცნობარო ნიშანი.

3. აკრძალულია საერთო პარკირების ადგილებად ტროტუარების განსაზღვრა.

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების პარკირების ადგილებად განსაზღვრისას აკრძალულია ქუჩის ერთსა და იმავე მონაკვეთში უშუალოდ მოპირდაპირე ორივე მხარის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქუჩას გააჩნია გზაგამყოფი და გზაგამყოფის თითოეულ მხარეს ავტომანქანების მოძრაობა არის ცალმხრივი ან/და, როცა აღნიშნულ ნაწილში ქუჩის სიგანე არის 18 მეტრზე მეტი.

5. აკრძალულია საერთო პარკირების ადგილებად ქუჩების გარდა სხვა საზოგადოებრივი სივრცეების განსაზღვრა, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული არ არის პარკირების დაშვების საცნობარო ნიშანი.

6. აკრძალულია პარკირების საერთო ადგილებად განსაზღვრულ იქნეს ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, სხვა თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადგილსამყოფელი შენობა-ნაგებობების ძირითადი შესასვლელების უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიების პარკირების საერთო ადგილებად გამოყენება. ასეთი ადგილები ქედის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ორგანოს (დაწესებულების) მიერ მხოლოდ სამსახურებრივი ავტომანქანების პარკირებისათვის. შესაბამისად გამოიყენება წინამდებარე წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

7. პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია, მათ შორის, განსაზღვრავს პარკირების საერთო ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესებს (მართობული დგომა, 90- გრადუსიანი დგომა ან/და 45-გრადუსიანი დგომა).

8. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 13. პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის ,მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე

1. პარკირების საერთო ადგილები შეიძლება მოეწყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესების დაცვით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილებას მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია, თუ პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ხდება საფასურის დაწესება.

3. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილის მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან/და მოსარგებლე განცხადებით ქედის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. განცხადებასთან ერთად დაინტერესებული პირი მერიას წარუდგენს პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების საერთო ადგილისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობისა (მათ შორის, შესაბამისი საგზაო ნიშნებით აღჭურვას) და ავტომანქანების დგომის წესებს (მართობული დგომა, 45- გრადუსიანი დგომა ან/და 90- გრადუსიანი დგომა), ასევე მიწის ნაკვეთზე საკუთრების ან/და სარგებლობის დამდგენ დოკუმენტს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილ განცხადებას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი რეგისტრაციიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი დარღვევის შემთხვევაში პარკირების საერთო ადგილების მოწყობაზე გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად. შესაბამისად, ამ პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში მერიას უფლება არ აქვს უარი უთხრას დაინტერესებულ პირს პარკირების ადგილების მოწყობაზე.

5. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების საერთო ადგილების მოწყობის ან მოწყობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მერიის მიერ მიიღება წერილის სახით.

6. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტომანქანების პარკირების საერთო ადგილების მოწყობის თაობაზე მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ადგენდეს ტერიტორიის წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად მოწყობის ვადებს.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დადგენილი ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის დადგენილი

ვადისა. დადგენილი ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართვა ხდება ვადის გასვლამდე. სხვა შემთხვევაში ვადა ითვლება დარღვეულად.

8. პარკირების საერთო ადგილებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად დადგენილი ვადის დარღვევისას მერიის მიერ გაცემული თანხმობა ითვლება ძალადაკარგულად, რაც არ საჭიროებს ცალკე (დამატებითი) გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ დროს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე პარკირების საერთო ადგილების მოწყობის მოთხოვნით მერიას მიმართავს ახალი განცხადებით, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციული წარმოება იწყება თავიდან.

9. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

10. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

მუხლი 14. პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საერთო წესები

1. პარკირების საერთო ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანების პარკირება, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებული არ არის პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა.

2. პარკირების საერთო ადგილზე ავტომანქანის დგომა არ ჩაითვლება ავტომანქანის პარკირების წესების დარღვევად, თუ ავტომანქანის დგომა ხდება მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისათვის საჭირო დროით.

3. წინამდებარე წესის მე-17 მუხლის მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტების შესაბამისად ტაქსად გამოყენებული ავტომანქანების პარკირების საერთო ადგილზე დგომა არ ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

4. წინამდებარე წესის 20-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად პარკირების საერთო ადგილზე იმ ავტომანქანების დგომა, რომლებიც ახორციელებენ ტვირთის სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაზიდვა-გადატანას, არ ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

5. იმ ავტომანქანების, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე პარკირება დასაშვებია, თუ ავტომანქანის მფლობელის მიერ პარკირების დაწყებისა და დასრულების დროს არ ხდება მესამე პირისათვის მომსახურების გაწევა, თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტომანქანის დგომა ან გაჩერება.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისათვის, ავტომანქანის მფლობელი ვალდებულია ავტომანქანაზე განთავსებული არ ჰქონდეს ის საცნობარო ნიშანი, რომლის ავტომანქანაზე განთავსებაც სავალდებულოა იმ მომსახურების გაწევის დროს, რომლისთვისაც წინამდებარე

წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში ავტომანქანის პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

7. ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, სხვა ტერიტორიებზე პარკირების საერთო ადგილებზე, ისე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების საერთო ადგილებზე.

მუხლი 15. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე

1. ტაქსების პარკირების ადგილებისათვის შეიძლება განსაზღვრულ იქნას ქუჩები და სხვა საზოგადოებრივი სივრცეები, ასევე ნებისმიერი ის მიწის ნაკვეთი, რომლიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე ან/და ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას.

2. ტაქსების პარკირების ადგილებად დასაშვებია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქუჩის მთლიანად ან ნაწილობრივ განსაზღვრა, თუ რომელიმე ადგილზე განთავსებული არ არის „დგომა აკრძალულია“, „გაჩერება აკრძალულია“ ან „შესვლა აკრძალულია“ საცნობარო ნიშანი.

3. აკრძალულია ტაქსების პარკირების ადგილებად ტროტუარების განსაზღვრა.

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების ტაქსების პარკირების ადგილებად განსაზღვრისას აკრძალულია ქუჩის ერთსა და იმავე მონაკვეთში უშუალოდ მოპირდაპირე ორივე მხარის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქუჩას გააჩნია გზაგამყოფი და გზაგამყოფის ქუჩის თითოეულ მხარეს ავტომანქანების მოძრაობა არის ცალმხრივი.

5. აკრძალულია ტაქსების პარკირების ადგილებად განსაზღვრულ იქნეს ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, სახელმწიფო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, სხვა თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადგილსამყოფელი შენობა-ნაგებობების ძირითადი შესასვლელების უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები.

6. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას ქედის მუნიციპალიტეტის მერიის წარდგინების საფუძველზე იღებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუხლი 16. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე

1. ტაქსების პარკირების ადგილები შეიძლება მოეწყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ

მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესების დაცვით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილის მოწყობის თაობაზე გადაწყვეტილებას მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

3. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილის მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე განცხადებით მიმართავს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას. განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს. განცხადებასთან ერთად დაინტერესებული პირი მერიას წარუდგენს პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ტაქსების პარკირების ადგილისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობას (მათ შორის, შესაბამისი საგზაო ნიშნებით აღჭურვას), ასევე მიწის ნაკვეთზე საკუთრების ან/და სარგებლობის დამდგენ დოკუმენტს.

4. წარმოდგენილ განცხადებას იხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი რეგისტრაციიდან 20 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გაგრძელება დაუშვებელია და მისი დარღვევის შემთხვევაში ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობაზე გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად. შესაბამისად, ამ პუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში მერიას უფლება არ აქვს უარი უთხრას დაინტერესებულ პირს ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობაზე.

5. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობის ან მოწყობაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მერიის მიერ მიიღება წერილის სახით.

6. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობის თაობაზე მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ადგენდეს ტერიტორიის წარმოდგენილი ესკიზური პროექტის შესაბამისად მოწყობის ვადებს.

7. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად დადგენილი ვადის გაგრძელება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის დადგენილი ვადისა. დადგენილი ვადის გაგრძელების მოთხოვნით მიმართვა ხდება ვადის გასვლამდე. სხვა შემთხვევაში ვადა ითვლება დარღვეულად.

8. ტაქსების პარკირების ადგილებისათვის განკუთვნილი ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად დადგენილი ვადის დარღვევისას მერიის მიერ გაცემული თანხმობა ითვლება ძალადაკარგულად, რაც არ საჭიროებს ცალკე (დამატებითი) გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ დროს მიწის ნაკვეთის

მესაკუთრე ან/და მოსარგებლე ტაქსების პარკირების ადგილების მოწყობის მოთხოვნით მერიას მიმართავს ახალი განცხადებით, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციული წარმოება იწყება თავიდან.

9. ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

10. ამ მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

17. ტაქსების პარკირების ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

1. ტაქსების პარკირების ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანის პარკირება, რომლებიც ეწევიან მგზავრთა გადაყვანას, მაგრამ მათი საქმიანობა არ წარმოადგენს ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს.

2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის მგზავრების გადაყვანასთან ერთად იმ ტვირთის გადაზიდვა, რომელიც თან აქვს მგზავრს, არ ცვლის ავტომანქანის მომსახურების სფეროს.

3. აკრძალულია ტაქსად გამოყენებული ავტომანქანის პარკირება იმ ადგილებზე, რომლებიც განკუთვნილი არ არის ტაქსების პარკირებისათვის.

4. ავტომანქანის პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის ტაქსების პარკირებისათვის, იმ დროით დგომა, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა ჩასხდომა-გადასხდომისათვის, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტომანქანის მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

5. ტაქსში მგზავრთა ჩასხდომა-გადასხდომისათვის საჭირო დროის განმავლობაში ავტომანქანის მძღოლი ვალდებულია იმყოფებოდეს საჭესთან, ჩართული ჰქონდეს ძრავი და ავარიული მაშუქი. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომანქანის პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

6. მგზავრის სვლაგეზის მიმართულებით მოძრაობის დროს ტაქსის დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის ტაქსების პარკირებისათვის, დასაშვებია მგზავრის საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ არაუმეტეს 15 წუთისა, რაც არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტომანქანის მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ავტომანქანის მძღოლი ვალდებულია იმყოფებოდეს საჭესთან, ჩართული ჰქონდეს ძრავი და ავარიული მაშუქი. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტომანქანის პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

8. ავტომანქანის გაფუჭების შემთხვევაში, რაც გამორიცხავს მის დამოუკიდებლად გადაადგილებას, მისი შეკეთებისათვის საჭირო დროით ტაქსის დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის ტაქსების პარკირებისათვის, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. თუ ავტომანქანის შეკეთება მძღოლის მიერ დამოუკიდებლად შეუძლებელია და საამისოდ საჭიროა მესამე პირთა მიერ მომსახურების (სასყიდლიანი ან უსასყიდლო) გაწევა, ავტომანქანის მძღოლი ვალდებულია გონივრულ ვადაში გადაიყვანოს ავტომანქანა ტაქსების პარკირების ადგილზე ან სხვა ადგილზე, სადაც ავტომანქანის პარკირება არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას ან/და ავტომანქანის პარკირება განახორციელოს იმდაგვარად, რაც არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას.

9. ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, სხვა ტერიტორიებზე განსაზღვრულ ტაქსების პარკირების ადგილებზე, ისე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განსაზღვრულ ტაქსების პარკირების ადგილებზე.

მუხლი 18. იმ ავტომანქანების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილების განსაზღვრა საზოგადოებრივ სივრცეებში, ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე

1. იმ ავტომანქანების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილებისათვის შეიძლება განსაზღვრულ იქნას ნებისმიერი საზოგადოებრივი სივრცეები, ასევე ის მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე ან/და ექვემდებარება საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას, თუ წინამდებარე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. აკრძალულია ამ მუხლით გათვალისწინებული პარკირების ადგილებად ქუჩებისა და ტროტუარების განსაზღვრა.

3. საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე ამ მუხლით გათვალისწინებული ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

4. ამ მუხლით გათვალისწინებულ პარკირების ადგილებზე, თუ პარკირების ორგანიზების უფლება გადაცემულია მესამე პირზე, მხოლოდ პარკირების ორგანიზების უფლების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით დასაშვებია მცირე ზომის კაფე-ბარების, საპირფარეოების, საშხაპეების, ღია ავტოსამრეცხაოების და ოფისების მშენებლობა. პარკირების ადგილებზე, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, ამ პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის უფლება აქვს პირს, რომელზეც გადაცემულია პარკირების ორგანიზების უფლება.

მუხლი 19. იმ ავტომანქანების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილების განსაზღვრა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე

1. იმ ავტომანქანების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილები შეიძლება მოეწყოს ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, წინამდებარე წესით დადგენილი წესების დაცვით (შემდგომში – პარკირების ადგილები).

2. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ადგილის მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების რეგულირებისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-16 მუხლის ნორმები.

მუხლი 20. იმ ავტომანქანების, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირების ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

1. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ტვირთის გადაზიდვასთან ერთად ტვირთის მფლობელის ან სხვა პირის გადაყვანა არ ცვლის ავტომანქანის მომსახურების სფეროს.

2. აკრძალულია ავტომანქანების, რომელიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირება იმ ადგილებზე, რომლებიც განკუთვნილი არ არის აღნიშნული ავტომანქანების პარკირებისათვის.

3. აკრძალულია ავტომანქანების, რომელიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილზე ტაქსების პარკირება.

4. ავტომანქანის პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის იმ ავტომანქანების პარკირებისათვის, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, იმ დროით დგომა, რომელიც განკუთვნილია ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტომანქანის მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

5. ავტომანქანის სვლაგეზის მიმართულებით მოძრაობის დროს დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის იმ ავტომანქანების პარკირებისათვის, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, დასაშვებია პირადი ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე, მაგრამ არა უმეტეს 15 წუთისა, რაც არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტომანქანის მძღოლი არ თავისუფლდება საგზაო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

6. ავტომანქანის გაფუჭების შემთხვევაში, რაც გამორიცხავს მის დამოუკიდებლად გადაადგილებას, მისი შეკეთებისათვის საჭირო დროით ავტომანქანის დგომა პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის იმ ავტომანქანების პარკირებისათვის, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. თუ ავტომანქანის შეკეთება მძღოლის მიერ დამოუკიდებლად შეუძლებელია და საამისოდ საჭიროა მესამე პირთა მიერ მომსახურების (სასყიდლიანი ან უსასყიდლო) გაწევა, ავტომანქანის მძღოლი ვალდებულია გონივრულ ვადაში გადაიყვანოს ავტომანქანა ამ ავტომანქანების პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილზე ან სხვა ადგილზე, სადაც ავტომანქანის პარკირება არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას ან/და ავტომანქანის პარკირება განახორციელოს იმდაგვარად, რაც არ წარმოადგენს პარკირების წესების დარღვევას.

7. ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც საზოგადოებრივ სივრცეებში, სხვა ტერიტორიებზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე, ისე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებზე.

მუხლი 21. წესის დარღვევა:

1. პარკირების წესების დარღვევას მიეკუთვნება:

ა) პარკირების საერთო ადგილებზე ავტომანქანის დგომა დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე;

ბ) პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირება, რომლებისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა;

გ) პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილებზე დგომის დადგენილი წესების (მართობული დგო მა, 90- გრადუსიანი დგო მა ან/და 45-გრადუსიანი დგო მა) დარღვევით ავტომანქანის პარკირება;

დ) ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში ავტომანქანის პარკირება, თუ აღნიშნული ადგილებისათვის განთავსებული არ არის პარკირების დაშვების საცნობარო ნიშანი;

ე) შესაბამისი საცნობარო ნიშნის არსებობისას, ქუჩის იმ ადგილებზე ავტომანქანის პარკირება, სადაც აკრძალულია ავტომანქანის პარკირება;

ვ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირება, რომლებისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრული არ არის პარკირების სპეციალური ადგილები;

ზ) იმ ავტომანქანების მიერ, რომლებისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია ავტომანქანების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების სპეციალურ ადგილებზე დადგენილი წესის დარღვევით ავტომანქანის პარკირების განხორციელება;

თ) პარკირების სპეციალური ადგილებისათვის დაწესებული სხვა მოთხოვნების დარღვევა;

ი) პარკირების ორგანიზების უფლების დადგენილი წესის დარღვევით განხორციელება;

კ) პარკირების ადგილების დადგენილი წესის დარღვევით განსაზღვრა;

ლ) ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების თვითნებურად განხორციელება;

მ) პარკირების საფასურის დადგენილი წესის დარღვევით დაწესება;

ნ) სხვა ქმედება, რომელთა განხორციელებაც წინამდებარე წესით აკრძალულია, ასევე ქმედება, რომლის განხორციელებაც ხდება წინამდებარე წესისაგან განსხვავებულად.

2. პარკირების წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრება ან გადახდა სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან.

3. ჯარიმის დაკისრების შემდეგ სამართალდამრღვევის მიერ იმავე საქმიანობის განხორციელება განიხილება ახალ სამართალდარღვევად.

მუხლი 22. გარდამავალი დებულებები

დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის 1 ივლისამდე

ა) განსაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილები;

ბ) საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად შეიმუშაოს წინადადებები პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრის თაობაზე;

გ) საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად შეიმუშაოს წინადადებები ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის ყველა ან რომელიმე ქვესახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის საფასურის შემოღებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე;

დ) საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად შეიმუშაოს წინადადებები პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის განსაზღვრის თაობაზე;

ე) განახორციელოს წინამდებარე წესის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება; დღეს მდგომარეობით აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული არ არის. სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზსაც, ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენა წარმოადგენს.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანების პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოებისა და ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა; ასევე პარკირების სფეროს განვითარება და ავტომანქანის პარკირებისას ან/და მოძრაობისას დაბრკოლებების გამორიცხვა;

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ნორმატიული აქტით რეგულირებული უნდა იქნას თვითმმართველ თემი - ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს. ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს იმ შემთხვევაშიც, როცა მიწის ნაკვეთი განკუთვნილი არ არის მხოლოდ პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, არამედ პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა და ავტომანქანების პარკირება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე უკვე მიმდინარე ძირითადი საქმიანობის დამატებით საქმიანობას და პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა ემსახურება ძირითადი საქმიანობის უკეთ განხორციელებას. (მაგ.: სასტუმროების მიერ საკუთარი ტაქსების ქონა, რომლებიც

მოემსახურება თუნდაც მხოლოდ ამავე სასტუმროში დაბინავებულ პირს). დადგენილების რეგულაციები სფეროს ზემოაღნიშნულთან ერთად წარმოადგენს ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე თვითმამრთველი თემი – ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა ტერიტორიებზე პარკირების ორგანიზების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის წესები.

დადგენილების მე-2 მუხლი მოიცავს მარეგულირებელი ნორმების მიზნებს.

დადგენილების მე-3 მუხლში მოცემულია ტერმინთა განმარტებები.

დადგენილების მე-4 მუხლში ჩამოყალიბებულია ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრის საერთო მოთხოვნები, კერძოდ აკრძალულია პარკირებისათვის გამოყენებულ იქნეს ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილია ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელებისათვის, ასევე ავტობუსების, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანების მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის და მათი სვლაგეზის მიმართულებით მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომისათვის (ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის) განკუთვნილი ადგილები; ქუჩა მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელზეც შესვლა ან მოძრაობა აკრძალულია. პარკირების სპეციალურ ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანების პარკირება, რისთვისაც განკუთვნილია პარკირების აღნიშნული ადგილები, თუ ამავე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან სხვა პირს, რომელიც მართავს შესაბამისი საცნობი ნიშნის მატარებელ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, პარკირების უფლება აქვს სპეციალური პარკირების ადგილებზე, თუ უახლოესი 100 მეტრის რადიუსში არ არის განსაზღვრული პარკირების საერთო ადგილები და ავტომანქანის პარკირება გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩასხდომისათვის ან გადმოსხდომისათვის.

ადგილები, სადაც პარკირება ფასიანია ან აკრძალულია, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საგზაო ნიშნებით ან/და შესაბამისი საგზაო მონიშვნით. ფასიანი პარკირების ადგილები, შესაბამისი საგზაო ნიშნების ან/და საგზაო მონიშვნის გარდა აღჭურვილი უნდა იყოს პარკირების პირობების ამსახველი საინფორმაციო დაფით და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოწყობილობებითა და საშუალებებით. პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირების შემთხვევაში, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით .იკრძალება და პარკირების წესების დარღვევად ჩაითვლება პარკირების საერთო ადგილების გამოყენება გარე ვაჭრობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაქირავების, სხვა მომსახურების და ნებისმიერი სახით რეკლამის გავრცელებისათვის. ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, მათ შორის ტროტუარზე ავტომანქანის პარკირებისას, სადაც განთავსებული არ არის პარკირების საცნობარო ნიშანი ან/და მონიშვნის ნიშანი, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ავტომანქანის ქუჩის იმ ადგილებზე პარკირებისას, სადაც დგომა ან გაჩერება აკრძალულია, ავტომანქანა ექვემდებარება დაჯარიმებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ქუჩებში განსაზღვრული პარკირების ადგილები მონიშვნის ხაზით გამიჯნული უნდა იყოს ტერიტორიის სხვა ნაწილისაგან.

აკრძალულია პარკირების ადგილზე ავტომანქანის პარკირება მონიშვნის ხაზის დარღვევით – მონიშვნის ხაზს გარეთ. სავალდებულოა პარკირების საერთო ადგილებზე რამდენიმე ადგილი გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი ადგილები აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საცნობარო ნიშნით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის განკუთვნილ ადგილზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანის პარკირება, რომელსაც აქვს შესაბამისი საცნობი ნიშანი. იმ ავტომანქანების, რომლებსთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული ავტომანქანების პარკირებისათვის, პარკირება დასაშვებია, თუ ავტომანქანის მფლობელის მიერ პარკირების დაწყებისა და დასრულების დროს არ ხდება მესამე პირისათვის მომსახურების გაწევა და თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტომანქანის დგომა ან გაჩერება. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა არ ზღუდავს ან/და არ კრძალავს, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, გამოყენებულ იქნეს კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხები, წყლის და კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქციარეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის. თუ აღნიშნული სამუშაოებისათვის საჭირო ადგილებს მოიცავს მესამე პირისათვის გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, ასეთი გადაწყვეტილება შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. პარკირების ადგილების განსაზღვრა ან/და პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა უფლებამოსილ ორგანოს არ უზღუდავს ან/და არ უკრძალავს მიიღოს გადაწყვეტილება, ადგილი, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აღარ განსაზღვროს პარკირების ადგილად. ასეთი გადაწყვეტილება, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის შემთხვევაში, შესაბამის ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია.

დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრულია პარკირების სახეობები, როლის შესაბამისად პარკირების ადგილები იყოფა ორ ძირითად სახეობად – პარკირების საერთო ადგილები და პარკირების სპეციალური ადგილები. პარკირების სპეციალური ადგილები თავის მხრივ იყოფა შემდეგ ქვესახეობებად: ტაქსების პარკირების ადგილები და იმ ავტომანქანების პარკირების ადგილები, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში.

დადგენილების მე-6 მუხლის შესაბამისად, პარკირების ორგანიზებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია ან მესამე პირი, ამავე მუხლით რეგულირებულია ის

ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც უნდა განახორციელოს პარკირებს ორგანიზების განმახორციელებელმა უფლებამოსილმა ორგანომ.

დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად, პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის გათვალისწინებული საფასურის შემოღების ან/და გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე იღებს და პარკირების ადგილებით სარგებლობის საფასურის ოდენობას განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო. პარკირების ორგანიზების მერიის მიერ განხორციელების შემთხვევაში შემთხვევებში პარკირების საფასურის ამოღებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია უშუალოდ ან მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა პირის მომსახურების გამოყენებით. პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფასური შეიძლება იყოს დიფერენცირებული.

პარკირების ორგანიზების უფლების სასყიდლით გადაცემისას, გადაცემის საფასურის წლიური მინიმალური ოდენობის განსაზღვრის მიზნით დგინდება პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური, რომელსაც ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება პარკირების ადგილებისათვის განსაზღვრული ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის ან/და პარკირების საფასურის ამოღების შედეგად მიღებული თანხის (მიღებული მთლიანი თანხის ან მოგების) პროცენტული ოდენობის განსაზღვრით. თუ პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური დგინდება ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთისათვის, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასური არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ან/და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის ნორმატიულ ოდენობაზე ნაკლები.

დადგენილების მე-8 მუხლით რეგულირებულია პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი განკარგვის ან აუქციონის წესით; ხოლო პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი განკარგვის წესით შეიძლება გაიცეს როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ.

დადგენილების მე-8 მუხლით რეგულირებულია პარკირების ორგანიზების უფლების აუქციონის წესით გადაცემა.

დადგენილების მე-10 მუხლით განსაზღვრულია პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით გადაცემის და აუქციონის წესით გადაცემის თაობაზე გარიგებათა გაფორმებისა და მათი ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ცალმხრივად შეწყვეტის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები.

დადგენილების მე-11 მუხლის შესაბამისად, პარკირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხები წესრიგდება პარკირების დაწესების თაობაზე ან/და პარკირების საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე სამართლებრივი აქტით.

დადგენილების მე-12 და მე-13 მუხლებით რეგულირებულია პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე, ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მიკუთვნებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო **მე-14 მუხლით განსაზღვრულია** პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საერთო წესები.

დადგენილების მე-15 და მე-16 მუხლები არეგულირებს ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრას ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ხოლო **მე-17 მუხლით განსაზღვრულია** ტაქსების პარკირების ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

დადგენილების მე-18 და მე-19 მუხლებით განსაზღვრულია პარკირების ადგილები იმ ავტომანქანებისათვის, რომლებიც სასყიდლით ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში, ხოლო **მე-20 მუხლით** პარკირების ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული დამატებითი საკითხები.

დადგენილების 21-ე მუხლის შესაბამისად, პარკირების წესების დარღვევას მიეკუთვნება:

ა) პარკირების საერთო ადგილებზე ავტომანქანის დგომა დადგენილი საფასურის გადახდის გარეშე;

ბ) პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირება, რომლისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა;

გ) პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილებზე დგომის დადგენილი წესების (მართობული დგო მა, 90- გრადუსიანი დგო მა ან/და 45-გრადუსიანი დგო მა) დარღვევით ავტომანქანის პარკირება;

დ) ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში ავტომანქანის პარკირება, თუ აღნიშნული ადგილებისათვის განთავსებული არ არის პარკირების დაშვების საცნობარო ნიშანი;

ე) შესაბამისი საცნობარო ნიშნის არსებობისას, ქუჩის იმ ადგილებზე ავტომანქანის პარკირება, სადაც აკრძალულია ავტომანქანის პარკირება;

ვ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირება, რომლისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრული არ არის პარკირების სპეციალური ადგილები;

ზ) იმ ავტომანქანების მიერ, რომლებისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია ავტომანქანების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების სპეციალურ ადგილებზე დადგენილი წესის დარღვევით ავტომანქანის პარკირების განხორციელება;

თ) პარკირების სპეციალური ადგილებისათვის დაწესებული სხვა მოთხოვნების დარღვევა;

ი) პარკირების ორგანიზების უფლების დადგენილი წესის დარღვევით განხორციელება;

კ) პარკირების ადგილების დადგენილი წესის დარღვევით განსაზღვრა;

ლ) ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების თვითნებურად განხორციელება;

მ) პარკირების საფასურის დადგენილი წესის დარღვევით დაწესება;

ნ) სხვა ქმედება, რომელთა განხორციელებაც წინამდებარე წესით აკრძალულია, ასევე ქმედება, რომლის განხორციელებაც ხდება წინამდებარე წესისაგან განსხვავებულად.

პარკირების წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაკისრება ან გადახდა სამართალდამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან. ჯარიმის დაკისრების შემდეგ სამართალდამრღვევის მიერ იმავე საქმიანობის განხორციელება განიხილება ახალ სამართალდარღვევად.

დადგენილების 22-ე მუხლი შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რომლის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიას ვალდებულია 2018 წლის 1 ივლისამდე

ა) განსაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილები;

ბ) საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად შეიმუშაოს წინადადებები პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრის თაობაზე;

გ) საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად შეიმუშაოს წინადადებები ყველა ან რომელიმე სახეობის პარკირების ადგილების ან/და ერთი სახეობის ყველა ან რომელიმე ქვესახეობის პარკირების ადგილების სარგებლობისათვის საფასურის შემოღებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე;

დ) საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად შეიმუშაოს წინადადებები პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის ნორმატიული საფასურის განსაზღვრის თაობაზე;

ე) განახორციელოს წინამდებარე წესის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

გ.ბ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების პროცესში ადგილი არ ჰქონია კონსულტაციის მიღებას.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის სივრცით ტერიტორიული დადგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორგილაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 21 ივნისი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 29 ივნისი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge) .

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული:).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის 20 ივნისს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის 21 ივნისს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის 29 ივნისი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106¹ მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესი, თანახმად დანართი №1-სა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის საწარმოს და ქედის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებს.

მუხლი 2. წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **დაწესებულება** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია მხოლოდ ქედის მუნიციპალიტეტის მიერ/ქედის მუნიციპალიტეტის და სხვა მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად ან არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირი, რომლის წევრია/წევრები არიან მხოლოდ მითითებული მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები და საწარმო, სადაც მითითებული მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების წილობრივი მონაწილეობა 50%-ს აღემატება.

2. **ქონების განკარგვა** – დაწესებულების ქონების გასხვისება და სარგებლობის უფლებით გადაცემა.

3. **აუქციონატორი** – დაწესებულების ხელმძღვანელი.

4. **დამფუძნებელი** – ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო – მუნიციპალიტეტის მერი.

5. ამ წესში გამოყენებული სხვა ტერმინები განიმარტება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ (შემდგომში „№669 დადგენილება“) შესაბამისად.

მუხლი 3. დაწესებულების ძირითადი საშუალებების გასხვისება

1. დაწესებულების ძირითადი საშუალებების გასხვისება, გარდა ქონების საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106¹ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად გასხვისებისა, ხორციელდება ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისას დაცული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნა, გარდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106¹ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. დაწესებულების ძირითადი საშუალებების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი, დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

4. დაწესებულების ხელმძღვანელმა დამფუძნებელს შესათანხმებლად უნდა წარუდგინოს აუქციონის პირობები, ქონების საწყისი ფასი, აუდიტის დასკვნა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

მუხლი 4. დაწესებულების ძირითადი საშუალებების სარგებლობის უფლებით გადაცემა

1. დაწესებულების ძირითადი საშუალებების სარგებლობის უფლებით (იჯარით, უზუფრუქტით, აღნაგობით, თხოვებით და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა

ფორმებით) გადაცემა ხდება ელექტრონული აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. ძირითადი საშუალებების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობით ან უპირობოდ.

2. დაწესებულების ქონების აუქციონის გარეშე, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106¹ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. დაწესებულების ქონების აუქციონის/პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი, დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე. უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე კი, დამფუძნებელი გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე ან უამისოდ და შესაბამის დავალებას აძლევს დაწესებულების ხელმძღვანელს, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. დამფუძნებელი უფლებამოსილია, დაწესებულების ხელმძღვანელის ან შესაბამისი დაინტერესებული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება (წერილობითი თანხმობის ან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმით) დაწესებულების ბალანსზე რიცხული ქონების (მათ შორის ინვენტარის) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან მუნიციპალიტეტის ორგანოების, ასვე ფიზიკური და იურიდიული პირების ან სხვა გაერთიანებების ორგანიზებით საქველმოქმედო, კულტურული, საგანმანათლებლო ან სხვა ფორმით განსახორციელებელი ღონისძიებების ჩატარების უზრუნველსაყოფად, ღონისძიების ჩატარების ვადით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

5. დაწესებულების მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის დაწესებულების ქონების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი, დამფუძნებლის თანხმობით.

6. დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემისას (აუქციონი/პირდაპირი განკარგვა) დამფუძნებელს შესათანხმებლად წარუდგინოს ქირის საფასური/ქირის საწყისი საფასური, აუდიტის დასკვნა, აუქციონის პირობები, სარგებლობაში გადაცემის ვადა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

მუხლი 5. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზება და ელექტრონული აუქციონის ჩატარება

1. დაწესებულების ქონების ელექტრონულ აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება და ვაჭრობა მიმდინარეობს ვებგვერდზე www.eauction.ge.

2. დაწესებულების ქონების გასხვისების ან/და სარგებლობაში გადაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. დაწესებულების ქონების გასხვისების ან/და სარგებლობაში გადაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების ორგანიზებას და აუქციონის ჩატარებას უზრუნველყოფს აუქციონატორი, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად, ამავე წესების შესაბამისად განისაზღვრება აუქციონში მონაწილეობის პირობები, აუქციონატორისა და აუქციონის მონაწილის უფლება-მოვალეობები, განმეორებითი/ვადაგაგრძელებული აუქციონის ჩატარების წესები.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

1. აუქციონში მონაწილეობის მსურველისათვის (რეგისტრირებული მომხმარებლისათვის)

ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია ლოტის სრული ღირებულების გადახდის, ასევე, ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის (ლოტის სრული ღირებულების მითითებით) და აუქციონატორის შესახებ, დასახელების და ანგარიშის/ანგარიშების ნომრების მითითებით. მომხმარებელი ირჩევს ერთ-ერთ ანგარიშს, ბეჭდავს შესაბამისი გადახდის ფორმას და აღნიშნული ფორმის საფუძველზე, საბანკო დაწესებულებაში იხდის შესაბამის თანხას.

2. დაწესებულების ქონების გასხვისების შემდეგ, ქონების შემძენის მიერ გადახდილი ქონების სრული ღირებულება ირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე.

3. დაწესებულების ქონების სარგებლობაში მიმღები სარგებლობის საფასურს იხდის შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე.

მუხლი 7. აუქციონის შედეგები, გარიგების დადება, ქონების შემძენის/სარგებლობაში მიმღების პასუხისმგებლობა

1. აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონატორსა და დაწესებულების ქონების შემძენს/სარგებლობაში მიმღებს შორის იდება შესაბამისი წერილობითი ნასყიდობის/სარგებლობის ხელშეკრულება. ქონების შემძენი ვალდებულია ქონების სრული ღირებულება სრულად გადაიხადოს ხელშეკრულების დადებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. ქონების სარგებლობაში მიმღები მის მიერ აუქციონზე შეთავაზებულ სარგებლობის საფასურს იხდის სააუქციონო პირობებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით და წესით. ქონების შემძენის/სარგებლობაში მიმღების საკუთრების/სარგებლობის უფლება, აუქციონატორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რეგისტრირდება საჯარო რეესტრში, შესაბამის ვალდებულებებთან (ნასყიდობის საფასურის გადახდის ვალდებულება, სააუქციონო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები) ერთად. მითითებული უფლებების/ვალდებულებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ხარჯების გადახდა ეკისრება აუქციონში გამარჯვებულ პირს. ქონების სრული ღირებულების გადახდამდე ქონების შემძენს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით განკარგოს შეძენილი ქონება, რაც ასევე რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

2. აუქციონში გამარჯვებულს მის მიერ გადახდილი ბე/საგარანტიო თანხა ეთვლება ქონების შემძენის შემთხვევაში – საბოლოო ანგარიშსწორებისას, ხოლო ქონების სარგებლობაში მიღების შემთხვევაში – სარგებლობის ვადის ბოლო წლის ქირის ოდენობაში.

3. აუქციონში გამარჯვებულს ქონება საკუთრებაში/სარგებლობაში არ გადაეცემა, გადახდილი ბე/საგარანტიო თანხა უკან არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება, თუ მან უარი განაცხადა შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერაზე, ან დადგენილ ვადებში სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

4. ქონების სარგებლობაში მიმღების პასუხისმგებლობა (დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები) სააუქციონო პირობების და ხელშეკრულების დარღვევისათვის არ უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით კონკრეტული ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობაზე ნაკლები.

მუხლი 8. ქონების საწყისი საფასურის /ქონების სარგებლობის საწყისი საფასურის დადგენა

1. დაწესებულების ქონების აუქციონის ფორმით გასხვისებისას, ქონების საწყისი საფასური განისაზღვრება დამფუძნებელთან შეთანხმებით, არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი ფასის ოდენობით.

2. დაწესებულების ქონების პირდაპირი განკარგვის/აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემისას, ქირის საფასურის/ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებელთან შეთანხმებით, არანაკლებ დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე დადგენილი საფასურის ოდენობით.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება)

პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106¹ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი რეგულაციების შემოღება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დადგენა და მას განხორციელების პროცედურების სამართლებრივი მოწესრიგება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცება“ გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ამ სამართლებრივი აქტით ხდება ქედის მუნიციპალიტეტის საწარმოს და ქედის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის საწარმოს და ქედის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

**„ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-
სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106-ე და 106-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის -- **ივნისი**

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის -- **ივნისი**

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამიძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ „ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება)პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე - რეზო თურმანიძე)(მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2018 წლის -- ივნისს დღის 18:00 საათამდე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2018 წლის -- ივნისს დღის 16:00 საათზე (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ „ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2018 წლის -- ივნისი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	-	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	63400	
შემოსულობების ჯამი			63,400	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	03 08	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	7200	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს ამოკლდა 7200 ლარი და დაემატა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს
	03 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	-7200	
2	01 02	მუნიციპალიტეტის მერია	-12300	არაფინანსური აქტივების ზრდაში ამოაკლდა - 8 000 ლარი (ელექტროტრანსპორტის შექმნაზე გათვალისწინებული თანხიდან) და 4300 ლარი (ვებ სერვერზე), სულ - 12 300 ლარი
			10200	საქონელი და მომსახურება - 10 200 ლარი, მათ შორის: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები 200 ლარი; სატელეფონო მომსახურების თანხა - 3 000 ლარი; წარმომადგენლობითი ხარჯი - 4 000 ლარი; ელექტრო ენერჯია - 3 000 ლარი;
3	03 02 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	40000	სუბსიდიების მუხლში თანხის დამატება: საპირფარეშოს აქსესუარები და მოვლა-შენახვა - 2500 ლარი; განათების ქსელზე დაერთებისათვის კაბელის შექმნა - 500 ლარი; სამეურნეო საქონელი - 1500 ლარი; საოფისე ინვენტარი და აღჭურვა აწვევის ტურისტულ ზონაში - 1600 ლარი; ა/სამრეცხაოს მოწყობა 2 500 ლარი; უნიფორმა ოპერატორებისა და მეპარკინგეებისათვის 700 ლარი; საკანცელარიო საქონელი 600 ლარი; სპეც ა/მანქანებისა და ტრაქტორების მოვლა შენახვა - 7500 ლარი; გარე განათების ელექტრო ენერჯიის გადასახადი 3000 ლარი; ხელფასი ა/სადგომის მორიგე 4 ერთეული (4 თვეზე) - 4000 ლარი; საპირფარეშოს დამლაგებელი 4 ერთეული (4 თვეზე) - 4800 ლარი; მძლარი სპეც ა/მანქანის 1 ერთეული (4 თვეზე)- 2000 ლარი; ოპერატორი 2 ერთეული (4 თვეზე) - 3200 ლარი; ტურისტული ზონის განყოფილების უფროსი 1 ერთეული (4 თვეზე) - 2400 ლარი; ტურისტული ზონის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი 2 ერთეული (4 თვეზე) - 3200 ლარი

4	03 02 04 01	შპს ქედის წყალკანალი	24000	სუბსიდიების მუხლში თანხის დამატება: ღარათის-ქედის მაგისტრალის მიმდინარე რემონტი (წყლის დებეტის გაზრდის მიზნით) - 7500 ლარი; მახუნცეთის მაგისტრალზე წყლის დებეტის გაზრდის მიზნით საჭიროა - 6300 ლარი; გულები-ხუნკუდა-ზესოფელის მაგისტრალზე აბონენტების დაერთება - 3000 ლარი; წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროა მუშახელის დამატება (6*200 ლარზე=1200) 1200*6 (თვეზე)=7200 ლარი;
5	03 02 04 05 12	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შექმნა	8000	დაზიანებული სასმელი წყლის სისტემებისათვის პოლიეთილენის მილების შექმნა - მოსახლეობისათვის გადასაცემად
6	05 01 01	ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა	5000	საქონელი და მოსახურება (სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება) თავისუფალი ჭიდაობის სპორტსმენებისათვის სპორტული საწვრთნო შეკრება - 4400; დამატებულ იქნა 600 ლარი - ქედის კიბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით
			27700	შრომის ანაზღაურების მუხლში - 24 600 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 3 100 ლარი.
			-4800	4800 ლარის ამოაკლდა საქონელი და მომსახურების მუხლში (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში ფეხბურთის მწვრთნელების ანაზღაურება ამოაკლდა და გადავიდა საფეხბურთო კლუბში)
7	05 02 03	ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი		200 ლარის გადატანა მოხდა საქონელი და მომსახურების მუხლიდან არაფინანსური აქტივების მუხლში სახანძრო-საევაკუაციო გეგმის შექმნის მიზნით.
			6000	შრომის ანაზღაურების მუხლში - 3 200 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 2 800 ლარი.
8	05 02 01	ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი	18000	არაფინანსური აქტივების ზრდაში - 3000 ლარი (გიტარა -1500 ლარი; ფანდური-500 ლარი; ბასფანდური-500 ლარი; ჩონგური - 500 ლარი;) საქონელი და მომსახურება - 1500 ლარი (ავტომანქანის რემონტისათვის); სოციალური უზრუნველყოფა -1500 ლარი (დეკრეტული შვებულების თანხა); მივლინება ქვეყნის გარეთ - 12 000 ლარი (საქონელი და მომსახურება)
			93400	შრომის ანაზღაურების მუხლში - 79 200 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -14 200 ლარი

9	05 02 02	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	9060	შრომის ანაზღაურების მუხლში - 5 800 ლარი; ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება დაემატა ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლას - 3260 ლარი (სხვა ხარჯების მუხლი)
10	05 02 01	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	-600	ამოკლებულ იქნა 600 ლარი (ქედის კიბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში) "სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებიდან" და დაემატა ა.(ა)ი.პ. ქედის სასპორტო სკოლას სხვა ხარჯების მუხლში
11	05 01 03	საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები	29300	"ბავშთა ფეხბურთის განვითარების" მიზნით შპს საფეხბურთო კლუბ ბეთლემის ბაზაზე ბავშთა საფეხბურთო სკოლის შექმნა (ბეთლემი ასპარეზობს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მესამე ლიგაში), რაც საშუალებას მისცემს გუნდის ადგილობრივი ფეხბურთელებით დაკომპლექტებაში
12	05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	6700	პროექტი "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია", რომელიც გულისხმობს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლის ფარგლებშიც გაიმართება სპორტული, კულინარიული, გასართობი და სახალისო აქტივობები - 6700ლარი;
			-3260	ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ამოაკლდა 3260 ლარი და გადაეცა ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლას
13	03 07 01 02	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა	4900	წყლის რესურსები, რომლის სიუხვითაც მდიდარია აჭარის რეგიონი და განსაკუთრებით ქედის მუნიციპალიტეტი, საჭიროებს ამ რესურსების ეფექტურ გამოყენებას, რადგან ის დატვირთვა, როგორც ეს რესურსები ამჟამად გამოიყენება, არ არის რენტაბელური არც ფერმერისათვის და არც ადგილობრივი ეკონომიკისათვის. თევზსაშენ საწარმოში აუცილებელია ჰიდროინჟინრის რეკომენდაციები, რათა უზრუნველყოფილი იქნას წყალმომარაგების ოპტიმალურობა და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი რისკები. რეგიონში დაგეგმილი დარგის განვითარებისათვის მიმართული სხვადასხვა საქმიანობებიდან ერთ ერთი მთავარია ადგილობრივი თევზმწარმოებლების ცნობიერების დონის ამაღლება წყლის ეფექტური გამოყენების საკითხებზე. რათა მათ მიერ მოხდეს გამოყენებული წყლის რესურსების აქტიური, მიზანმიმართული და გაუმჯობესებული ხარისხით გამოყენება, რომელიც გამოადგება როგორც მოქმედ საწარმოებს ასევე დამწყებ ფერმერებს თევზმომარაგების მიმართულებით.
14	04 01 01	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა	18000	ელექტრო ენერჯის საფასურისათვის თანხის დამატება 18 000 ლარი (საქონელი და მომსახურება)

			166000	შრომის ანაზღაურების მუხლში - 159 700 ლარი; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება -6 300 ლარი
15	06 01 07 01	სოფელ მეძიბნაში სამედიცინო პუნქტის (და სოფლის სახლის) მშენებლობა და ინვენტარის შექმნა	-53100	53 100 ლარი ამოკლებულ იქნა ტენდერიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე
16	03 02 03 03	ნაგვის შემგროვებელი ურნების შექმნა სოფლებისათვის ერთეული	-2200	2 200 ლარი ამოკლებულ იქნა ტენდერიდან მიღებული ეკონომიის ხარჯზე
17	03 02 03 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი დანიშნულების საპირფარეშოების მშენებლობა-რეაბილიტაცია	-30000	ლონისძიება ამოღებულ იქნა ბიუჯეტიდან
18	03 02 05 03 08	სამთო ტურიზმის განვითარება (მთების გზები და ბილიკების კეთილმოწყობა - დიდვაკე, მლაშე ნაკონალარი ღარათი, ღომა, თიანარი, და საბადური)	-80000	ლონისძიება ამოღებულ იქნა ბიუჯეტიდან
19	03 02 06 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	-156600	შეიცვალა დაფინანსების წყარო და 140 000 ლარი გადატანილ იქნა კაპიტალური ტრანსფერიდან მისაღებ თანხებში, ხოლო 16 600 ლარი კი ამოკლებულ იქნა ბიუჯეტიდან
20	06 01 07 03	თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა	-60000	შეიცვალა დაფინანსების წყარო და 60 000 ლარი გადატანილ იქნა კაპიტალური ტრანსფერიდან მისაღებ თანხებში
ასიგნებების ჯამი			63,400	X
ს ხ ვ ა ბ ა			0	X

შენიშვნა: აღნიშნული ცვლილების შედეგად ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 63 400 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2018 წლის -- მაისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებით დამტკიცებულ დანართ №1-ში შეტანილი იქნას ცვლილებები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. გორგილაძეს).

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358)

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო
ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა

№	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენიშვნა-ნაცვობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის სარეგისტრაციო N	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.00	21.03.33.072	17430.00	
2	ყოფილი თამბაქოს საწყობი	დაბა ქედა, აღმაშენებლის ქუჩა N17	ქედის მუნიციპალიტეტი	403.00	290.00	21.03.35.073	12410.00	
3	ყოფილი სახანძროს ავტოფარეხი	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	29.40	30.00	21.01.37.021	3240.00	
4	ავტოფარეხი	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	28.50	33.00	21.01.37.029	1755.00	
5	საყარაულო ჯიხური	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	12.70	15.00	21.01.37.028	1991.00	
6	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.00	21.01.37.007.01.500	18594.00	
7	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.00	21.05.33.026	6922.00	
8	თევზის ბასეინი	სოფელი ზვარე	ქედის მუნიციპალიტეტი	100.62	189.00	21.06.31.003	3524.40	
9	თევზის ბასეინი	სოფელი ზვარე	ქედის მუნიციპალიტეტი	70.00	100.00	21.06.32.006	2060.00	
ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2018 წლის პირველი კვარტლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 923 220 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 755 736 ლარი. (91.3%)

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 529 332 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 521 217 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 138 940 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 136 252 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერია 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 389 402 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 384 965 ლარი.

II. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოები სფეროს 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 17 540 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14 916 ლარი, მათ შორის:

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 17 540 ლარს, ხოლო ფაქტიური ხარჯი 14 916 ლარი.

III. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის სფეროს 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 533 189 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 503 135 ლარი, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა შენახვა 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 373 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 373 ლარი.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 422 765 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 417 006 ლარი, საიდანაც

შპს „ქედის კომუნალურისერვისი“ 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 104 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 103 994 ლარი.

შპს „ქედის წყალკანალი“ 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 255 ლარი.

სს "აჭარის წყლის ალიანსის" საწესდებო კაპიტალის შენატანი 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 400 ლარი.

ზენდიდისა და ცხემნის წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13 000 ლარი.

ქოსოსფლის წყლის სისტემის მშენებლობა 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 809 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2018 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 219 365 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 217 547 ლარი, მათ შორის:

დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 114 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 113 059 ლარი.

დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 57 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 56 730 ლარი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების და მათში შემავალ სოფლებში კეთილმოწყობითი სამუშაოები (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, დაბა ქედა, ოქტომბერი, მერისი, პირველიმასისი, მახუნცეთი, დოლოგანი) 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 23 365 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22 931 ლარი.

აწვევის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 680 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 584 409 ლარი.

აწვევის სავაჭრო დახლის მოწყობა 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 827 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 42 324 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 051 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 55 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 53 705 ლარი.

IV. განათლება

განათლების სფეროს 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 469 940 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 387 013 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 469 940 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 387 013 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბალების გაერთიანების 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 257 340 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 255 055 ლარი.

მახუნცეთის თემის ადმინისტრაციული შენობის და ზუნდაგის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 212 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 131 959 ლარი.

V. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 229 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 217 549 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 67 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 64 261 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 37 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 36 948 ლარი.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 526 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 788 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 162 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 153 287 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 102 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 98 541 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28 140 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 255 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 860 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 878 ლარი.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 612 ლარი.

VI. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 143 319 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 111 906 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 98 450 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 82 241 ლარი, საიდანაც ეპილევსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 200 ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 922 ლარი.

ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 26 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23 341 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 37 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35 950 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 24 650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 250 ლარი.

პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 778 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 44 869 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 666 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 666 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 800 ლარი.

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ღირებულების უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 323 ლარი.

ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელსაწყოების მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 632 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის 2018 წლის პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25 969 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 245 ლარი.

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა**

**2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის,
ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დამტკიცდეს:

ა) „2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №1-სა.

ბ) „2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №2-სა.

გ) „2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა“ თანახმად დანართი №3-სა.

2. დანართი №1, №2, და №3 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №24 განკარგულება.

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

5. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამდემ

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

მიზნობრივი პროგრამა

1. 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა
2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი
01 იანვარი 2018 წელი
31 დეკემბერი 2018 წელი
3. ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგ 42 300 (ორმოცდაორიათასამასი) ლარს.
I კვარტალი - 10 000
II კვარტალი - 12 000
III კვარტალი -10 900
IV კვარტალი - 9 400
4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროები
ძირითადი - ქედის მუნიციპალიტეტი 42 300 (ორმოცდაორიათასამასი) ლარს.
5. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - ქედის მუნიციპალიტეტის მერია
6. ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი.
1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
2) წერილობითი მოთხოვნა.
3) მიღება-ჩაბარების აქტი.
4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.
7. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის დასაბუთება და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა
8. ქვეპროგრამის მიზნები
ქვეპროგრამის მიზანია სპორტული ღონისძიებების 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ჩატარება. ადგილობრივ სპორტსმენთა დაფინანსება საქართველოსა და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.
9. ქვეპროგრამის ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახელება	ღონისძიებების ხარჯი (ლარი)
სპორტული	42300
სულ	42300

10. ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს
42 300 (ორმოცდაორიათასამასი) ლარს.

**ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების
2018 წლის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის სპორტული ღონისძიებები**

N	სპორტული ღონისძიებების დასახელება	ჩატარების		თანხა
		ადგილი	ადგილი	
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები			2300
	ჯამი			2300
2	2018 წლის წარმატებული სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისების ფონდი			5500
	ჯამი			5500
მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ღონისძიებები				
		თარიღი		
3	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები	თებერვალი-მაისი	ქედა	2173
4	ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	ქედა	1468
5	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018“(მუნიციპალური, რეგიონალური და ზონალური ტურნირებში, ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა)	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	4885
	ჯამი			8526
თავისუფალი ჭიდაობა				
6	თავისუფალი ჭიდაობა. ქოლგანი დელფინი	მარტი-აპრილი	ბათუმი	467
7	თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი	ივნისი	კალენდარის შესაბამისად	467
8	თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	1523
9	ლ. ხაბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკვა შორის	წლის განმავლობაში	კალენდარის	1950
10	თავისუფალი ჭიდაობა. როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	467
11	დ. კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	1568
12	შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	1608
	ჯამი			8050

ჭადრაკი				
13	ჭადრაკი აჭარის პირველობა (10, 14,20) წლამდე ასაკი	წლის განმავლობაში	ბათუმი	1847
14	ჭადრაკი აჭარის პირველობა (8,12,16) წლამდე ასაკი	წლის განმავლობაში	ბათუმი	1847
	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“	წლის განმავლობაში	ბათუმი	1570
16	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელტა 2018“	წლის განმავლობაში	ბათუმი	1570
ჯამი				6834
კალათბურთი				
17	ქედის კალათბურთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	800
ჯამი				800
ფრენბურთი				
18	ქედის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	800
ჯამი				800
მაგიდის ჩოგბურთი				
19	მაგიდის ჩოგბურთი, აჭარის ჩემპიონატი	მარტი-აპრილი	ქედა	1623
20	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრაქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან	მაისი-ივნისი	ბათუმი	221
21	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან	სექტემბერი-ოქტომბერი	ხულო	260
22	თორნიკე ლოლობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის	954
23	მაგიდის ჩოგბურთი. აბაში ღია პირველობა	წლის განმავლობაში	კალენდარის	1300
ჯამი				4358
ქართული ჭიდაობა				
24	ქართული ჭიდაობა, აჭარის პირველობა 2001-2003წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	230
25	ქართული ჭიდაობა, აჭარის პირველობა 2004-2005 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	230
26	ქართული ჭიდაობა, ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	212
27	ქართული ჭიდაობა, დავით მამულაძის ხსოვნის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	250
28	ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	494
29	ნომრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	250
ჯამი				1666
ფეხბურთი				
30	ფეხბურთი. ა. (ა) ი. პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში .	წლის განმავლობაში	კალენდარის შესაბამისად	3466
ჯამი				3466
სულ ჯამი				42300

N	სპორტული ღონისძიებების დასახელება	გეგმიური	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიური ხარჯი	სხვაობა (3-4)	სხვაობა (4-5)	ეკონომია (6+7)	შენიშვნა (ღონისძიებების ჩატარების თარიღი)	(ხელშეკონომერი)
N	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	1200							
2	2018 წლის წარმატებული სპორტსმენთა და მწვრთნელთა წახალისების ფონდი	5500							
3	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები	2173							
4	ფეხბურთი. არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი	1700	1468					232	
5	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018“ (მუნიციპალური, რეგიონალური და ზონალური ტურნირებში, ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა)	5260	4885					375	
6	თავისუფალი ჭიდაობა. ქოლგანი დელფინი	550	467					83	
7	თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი	550	467					83	

8	თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა	1523							
9	გ.ხინჩგაშვილის სახელობის ტურნირი	2000						2000	აღნიშნულ ღონისძიებაზე არ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ვინაიდან, საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ფედერაციამ შეცვალა ღონისძიების ჩატარების თარიღი (ღონისძიება დამტკიცებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ N24 30 03 2018 წ.)
10	თავისუფალი ჭიდაობა. როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	550	467					83	
11	დ. კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	1850	1568					282	
12	შოტა ლომიძის სახელობის ტურნირი	1897	1608					289	
13	ჭადრაკი აჭარის პირველობა (10, 14,20) წლამდე ასაკი	1847							
14	ჭადრაკი აჭარის პირველობა (8,12,16) წლამდე ასაკი	1847							
15	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018“	1570							
16	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი 2018“	1570							
17	ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	1100						1100	

18	ქედის კალათბურთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	800							
19	ქედის ფრენბურთელთ ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	800							
20	მაგიდის ჩოგბურთი, აჭარის ჩემპიონატი	1623							
21	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრაქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან	260	221					39	
22	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან	260							
23	თორნიკე ლოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	954							
24	მაგიდის ჩოგბურთი. აბაში ღია პირველობა	1300							
25	ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2001-2003წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	230							
26	ქართული ჭიდაობა, აჭარის პ/პირველობა 2004-2005 წწ. დაბადებულ სპორტსმენებს შორის	230							
27	ქართული ჭიდაობა, ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი	250	212					38	
28	ქართული ჭიდაობა, დავით მამულაძის ხსოვნის ტურნირი	250							
29	ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი	494							
30	შუახევის მუნიციპალიტეტიდან აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის ტურნირი	246						246	აღნიშნული ღონისძიება არ ტარდება აჭარის ა/რ ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიერ

31	ფეხბურთი. ა. (ა) ი. პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში .	2516							
სულ ჯამი		42900	11363					4850	

№	სპორტული ღონისძიებების დასახელება	შესრულების დრო	თანა	დღიური ნორმა	სასტარტო	ერთეურობადი კვება	ალაფურშები ან ვახშები	დამის თევზ	ფასიანი საშუალებები	ღონისძიებისთვის საჭირო ნივთები (ზელიაინი, მარე ზურთი, თაბი, მედილი, ბიჯელი, ბილუეზიდა, სხვა)	ხელფასი ან ფულადი თანხა	სატრანსპორტი მომსახურება	ჯამი	მოცემა	ჯამი	დღე(18%)	ჯამი	სულ ჯამი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1	ლ. ხაბელოვის სახელობის საერთაშორის ტურნირი ჭაბუკთა შორის	წლის განმავლობაში	2000	500				687.75				450	1137.75	91.02	1228.77	221.1786	1449.9486	1949.95
2	ნომრეკან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი	წლის განმავლობაში	250	120								100	100	10	110	19.8	129.8	249.80
	სულ ჯამი		2250															

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (N24 30.03.2018,) დამტკიცებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სპორტული (42900 ლარი) ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

სპორტული ღონისძიებების მომსახურების შესყიდვებისა მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 1750 ლარი (იხ დანართი 3) და სპორტული ღონისძიებების გაუქმების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა (1. ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში- 1100 ლარი, 2. გ. ხინჩეგაშვილის სახელობის ტურნირი-2000 ლარი,) -3100 ლარი, სულ ჯამში მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 4850 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიღებული ეკონომიიდან თანხა დაემატოს არსებულ ღონისძიებებს, კერძოდ: პროგრამის პირველ პუნქტს „გაუთვალისწინებელი ღონისძიებები“-ს 1100 ლარი და განისაზღვროს 2300 ლარით, პროგრამის 31-ე პუნქტს „ ფეხბურთი. ა. (ა) ი. პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში“ 950 ლარი და განისაზღვროს 3466 ლარით, სულ 2050 ლარი. ასევე არსებული ეკონომიიდან დამატებით დაფინანსდეს 2 (ორი) ახალი ღონისძიება: თავისუფალი ჭიდაობა, ლ. ხაბელოვის სახელობის საერთაშორის ტურნირი ჭაბუკთა შორის-1950 ლარით და ქართული ჭიდაობა, ნოშრევან დავითაძის და გელა ზოიძის სახელობის ტურნირი 250 ლარით(იხ, დანართი 3), სულ 2200 ლარი, სულ ჯამში 2050+2200=4250 ლარს.

ასევე ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ა(ა)ი.პ ქედის სასპორტო სკოლას გამოუყოს 600 ლარი, ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. თანხის მოძიება მოხდეს პროგრამის 17-ე პუნქტის გაუქმების ხარჯზე „ ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში“ და 2018 წლის სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა განისაზღვროს 42300 (ორმოცდაორიათასსამასი)ლარით.იხ.დანართი 1.

მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი.

01 იანვარი 2018 წელი

31 დეკემბერი 2018 წელი

3. ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი	შეადგენს	58	440
------------------------------	----------	----	-----

(ორმოცდათვრამეტიათასოთხასორმოცი) ლარს.

4. ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროები - ძირითადი - ქედის მუნიციპალიტეტი 58 440 (ორმოცდათვრამეტიათასოთხასორმოცი) ლარს.

5. ქვეპროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - ქედის მუნიციპალიტეტის მერია.

6. ფინანსური ანგარიშსწორების განხორციელების წესი:

1) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

2) წერილობითი მოთხოვნა.

3) მიღება-ჩაბარების აქტი.

4) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო (საანგარიშსწორებო) დოკუმენტაცია.

7. პროგრამის აღწერა, მისი აქტუალობის და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

ქედის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროების განვითარება. პრიორიტეტების წარმოჩენისა და ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით შესაბამისი გარემოს შექმნა.

8. ქვეპროგრამის მიზნები

ქვეპროგრამის მიზანია 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება

9. ქვეპროგრამის ხარჯები

პროგრამით გათვალისწინებული დასახელება	ლონისძიების	ლონისძიების ხარჯი (ლარი)
კულტურულ-საგანმანათლებლო		58440
სულ		58440

10. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 58 440 (ორმოცდათვრამეტიათასოთხასორმოცი) ლარს.

კულტურის ღონისძიებები

N	ღონისძიებების დასახელება	შესრულების დრო	თანხა	შენიშვნა
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	3151	
2	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	მარტი	3000	
3	9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე	აპრილი	600	
4	სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსაზღების ოლიმპიადა	აპრილი-ივნისი	2200	
5	9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე	მაისი	600	
6	26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	მაისი	2000	

7	8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	აგვისტო	169	
8	სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში	ოქტომბერი - ნოემბერი	7000	
9	მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	ოქტომბერი	2320	
10	საახალწლო -საშობაო ღონისძიებები	დეკემბერი	6000	
11	ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა	წლის განმავლობაში	7400	
12	ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები	წლის განმავლობაში	4800	
13	ეტალონი	წლის განმავლობაში	6500	
14	მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში	წლის განმავლობაში	10000	
15	ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო-თოფუზი“	წლის განმავლობაში	2700	
სულ			58440	

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (განკარგულება N3 26.01.2018 წელი) დამტკიცებული იქნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი თავდაპირველად განისაზღვრა 65000 ლარით, პროგრამაში შევიტანეთ ცვლილება და ბიუჯეტი განისაზღვრა 61700 ლარით (განკარგულება N24 30.03.2018 წელი). პროგრამაში ჩაშლილია ღონისძიებები 16 პუნქტად., მათ შორის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩაატაროს ა(ა) ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლამ და გამოუყოს თანხა ღონისძიების ჩასატარებლად. თანხის მოძიება მოხდეს კულტურული ღონისძიებების მიზნობრივ პროგრამაში შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებისათვის განკუთვნილი თანხის გადატანით, კერძოდ: ა(ა) ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლას ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზებისათვის გადაეცეს 3260 ლარი და კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა განისაზღვროს 58440 (ორმოცდათვრამეტიათასოთხასორმოცი) ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის -- მაისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებ-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებ-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესი, თანახმად დანართი №1-სა.

2. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358;).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწვევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის შესაბამისად ყველა დაწესებულება (იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, მეწარმე სუბიექტი, საჯარო დაწესებულება, მათ შორის, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) ვალდებულია შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები.

მუხლი 1.

წესის მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დადგენა და მისი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

მუხლი 2.

1. ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს მოწვევა.

2. ქედის მუნიციპალიტეტში (ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში) დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები და სხვა პირები ვალდებული არიან:

ა) დაემორჩილონ ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებით დადგენილ წესებს;

ბ) ნებისმიერი პირის მიერ აკრძალულ ადგილას თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს კონტროლის განმახორციელებელ პირს.

3. თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებაზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.

4. კონტროლის განმახორციელებელი პირი ვალდებულია:

ა) თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს ყველა ზომა მოწვევის ფაქტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შსს ქედის რაიონულ განყოფილებას;

ბ) უზრუნველყოს ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას ამ წესისა და თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული შესაბამისი წარწერის/ნიშნის, აგრეთვე იმ ფიზიკური პირის/დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრის და სხვა ინფორმაციის განთავსება, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი

თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.

5. თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ნომრებზე: 112.

მუხლი 3.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის დარღვევისთვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებზე-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ყველა დაწესებულება (იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, მეწარმე სუბიექტი, საჯარო დაწესებულება, მათ შორის, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) ვალდებულია შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171¹ -ე მუხლის თანახმად, [„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტით](#) გათვალისწინებული დაწესებულების მიერ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა და სადაც თამბაქოს მოწევა აკრძალულია, თამბაქოს მოწევის აკრძალვის მოთხოვნის შეუსრულებლობა, თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დაუმტკიცებლობა, შესაბამისი შენობა-ნაგებობის ან/და ტერიტორიის ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების, თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის თაობაზე შესაბამისი წარწერისა და ნიშნის, აგრეთვე შესაბამისი საკონტაქტო პირის/დაწესებულების შესახებ საკონტაქტო ტელეფონის ნომრის და სხვა ინფორმაციის განუთავსებლობა, თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის აღუკვეთელობა, [„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით](#) დადგენილი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია, შეიმუშაოს და დაამტკიცოს იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებზე-ნაგებობებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს მოწევა. ქედის მუნიციპალიტეტში (ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში) დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები და სხვა პირები ვალდებულნი არიან:

ა) დაემორჩილონ ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებზე-ნაგებობებში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებით დადგენილ წესებს;

ბ) ნებისმიერი პირის მიერ აკრძალულ ადგილას თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს კონტროლის განმახორციელებელ პირს.

თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებაზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობა-ნაგებობებში კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.

კონტროლის განმახორციელებელი პირი ვალდებულია:

ა) თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს ყველა ზომა მოწვევის ფაქტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით და დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შსს ქედის რაიონულ განყოფილებას;

ბ) უზრუნველყოს ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას ამ წესისა და თამბაქოს მოწვევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული შესაბამისი წარწერის/ნიშნის, აგრეთვე იმ ფიზიკური პირის/დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრის და სხვა ინფორმაციის განთავსება, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.

თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია ნომრებზე: 112.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესის დარღვევისთვის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

2018 წლის -- მაისი

დაბა ქედა

ფიზიკური პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების (გატყევებული ტერიტორიები) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი წინადადების მოწონების თაობაზე

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თემური ავალიანის მიერ ინიცირებული წინადადება ფიზიკური პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების (გატყევებული ტერიტორიები) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვის თაობაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

2. დაევალოს საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (კომისიის თავმჯდომარე - გოჩა გორგილაძე) ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირთან - აჭარის სატყეოს სააგენტოსთან ერთად გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ფიზიკური პირების სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების (გატყევებული ტერიტორიები) სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვასთან დაკავშირებით.

3. წინამდებარე განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.

4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის -- მაისი

დაბა ქედა

30 აპრილს ციხისძირში გამართულ მშვიდობიან აქციაზე ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცების შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილების მე-6 მუხლის მე-6

პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს 30 აპრილს ციხისძირში გამართულ მშვიდობიან აქციაზე ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტი თანახმად დანართისა.

2. განკარგულებით დამტკიცებული მიმართვის ტექსტის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

30 აპრილს ციხისძირში გამართულ მშვიდობიან აქციაზე ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოძიებისა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემის თაობაზე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ეყრდნობა რა საქართველოს კონსტიტუციას,

აღიარებს, რა, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება არის უზენაესი,

ითვალისწინებს, რა რომ გამოხატვის უფლება საყოველთაოდ აღიარებული დაცული და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ,

სასტიკად გმობს ყოველგვარ ძალადობას მიუხედავად იმისა თუ რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია ძალადობის მსხვერპლი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მკაცრად გმობს 30 აპრილს ციხისძირში მშვიდობიანი აქციის დროს აქციის მონაწილეების სასტიკად ცემის ფაქტს, რა დროსაც ფიზიკური ძალადობა განხორციელდა ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, ასევე აქციის რიგითი მონაწილეზე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიაჩნია, რომ

განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს მომხდარი ფაქტი იმდენად, რამდენადაც ეს ფიზიკური ძალადობა განხორციელდა პოლიციელების თვალწინ.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიმართავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გატარდეს სათანადო ღონისძიებები და დაუყოვნებლივ, უახლოეს დღეებში პასუხისგებაში მიცემულ იქნენ კანონდამრღვევი ადამიანები, რომელთა მიმართაც უნდა გატარდეს კანონით გათვალისწინებული უმკაცრესი ღონისძიება, ეს იქნება პრევენცია, რათა შემდგომში სხვამ აღარ განახორციელოს მშვიდობიანი აქციის მონაწილეების, მათ შორის დეპუტატების ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობა.

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მიმართვის პროექტი

ა. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა. პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი

წარმოდგენილი პროექტი ემსახურება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოზიციის გამოხატვას, მიმდინარე წლის 30 აპრილს ციხისძირში მშვიდლობიანი აქციის დროს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

როგორც მოგეხსენებათ მიმდინარეობდა მშვიდობიანი აქცია, რომელზედაც მოხდა აქციის მონაწილეთა ფიზიკური შეურაცყოფა, ასევე ფიზიკური ძალადობა განხორციელდა ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე. გამოვდივართ საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი ღირებულებებიდან, რომლის მიხედვითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიგვაჩნია, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება არის უზენაესი, ამასთან გამოხატვის უფლება საყოველთაოდ აღიარებული დაცული და გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ და სასტიკად ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას მიუხედავად იმისა თუ რომელი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია ძალადობის მსხვერპლი.

ხსენებულ საკითხში ჩვენი მიმართვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი, ემსახურება იმ ფაქტს, რომ სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით გაატაროს სათანადო ღონისძიებები და დაუყოვნებლივ, უახლოეს დღეებში პასუხისგებაში მიცემულ იქნენ კანონდამრღვევი ადამიანები, რომელთა მიმართაც უნდა გატარდეს კანონით გათვალისწინებული უმკაცრესი ღონისძიება, ეს იქნება პრევენცია, რათა შემდგომში სხვამ აღარ განახორციელოს მშვიდობიანი აქციის მონაწილეების, მათ შორის დეპუტატების ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობა.

პროექტის ფინანსური დასაბუთება

ხსენებული პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებით ხარჯებს. მას გააჩნია მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანი.

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები მიღებული არ ყოფილა და საკითხის განხილვისას მზად ვართ გავმართოთ კონსულტაციები.

პროექტის ავტორი: ქედის საკრებულოს მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძე.